Вслед за поэмой «Дорога», опубликованной в 1925 г., отразившей впечатления Тихонова от первого путешествия по Грузии, в начале 30-х годов были опубликованы рассказы «Клятва в тумане» и «Симон-большевик», возникшие на грузинском материале. В 1935 году вышли отдельным изданием прекрасные «Стихи о Кахетии»; за ними последовали стихотворные циклы — «Горы» (13 стихотворений, датированных преимущественно 1940 годом); о Тбилиси (5 замечательных посвящений нашему городу); «Грузинская весна» (10 стихотворений, отмеченных Государственной премией первой степени) и, наконец, цикл «Радуга в Сагурамо» (8 стихотворений), объединивший стихи, созданные поэтом на ту же грузинскую тему уже в конце 40-х и в 50-х годах. В 1957 году были опубликованы поэма «Серго в горах», посвященная Серго Орджоникидзе, и рассказ «Цхнетские вечера» о счастливых, творчески насыщенных днях, проведенных в Цхнети в 1939 году в обществе Г. Леонидзе. В 1962 г. был создан поэтический рассказ о Сагурамо «Ночь и день». В книге воспоминаний «Двойная радуга» (1929 г.) множество страниц посвятил Н. Тихонов Грузии, ее людям, ее природе, ее истории и культуре. Грузинская тема, по собственному признанию Тихонова, остается до сих пор неисчерпанной им.

Это солидное литературное наследие дает нам право говорить о целом этапе в творческой биографии поэта.

С «грузинским» периодом, с грузинской темой связываем мы усиление лирических интонаций в поэзии Тихонова.

«Стихи о Кахетии» были признаны исследователями творчества Тихонова «новой, более высокой степенью его художественной зрелости» ([1], 156), «документом лирической перестройки поэта» ([2], 182—189), в котором проявились «скрытые до сих пор в нем стороны его дарования», в частности, «умение до конца растворить свою тему в лирическом потоке» ([3], 227—235).

Лирическая интонация становится преобладающей не только в кахетинских стихах, но во всех грузинских циклах, что лишний раз подтверждает мысль о нерасторжимости, взаимообусловленности темы и стиля, формы и содержания — сама грузинская тема, сама специфика грузинского материала, как нам кажется, вовлекала поэта в круг повышенной эмоциональности, мягко, но требовательно направляла его в выборе средств, заставляла писать в определенном стилевом ключе, наиболее соответствующем и органичном для темы.



В цикле стихотворений «Тень друга», написанном Тихоновым в 1935—36 годах, сразу же вслед за «Стихами о Кахетии», в котором воплотил поэт свои европейские впечатления, стиль и манера его ощущимо меняются.

«Не верится почти, — писал один из критиков 30-х годов, — что этот цикл Н. Тихоновым написан сразу после «Кахетинских стихов», — слишком уж крутой стилиевой поворот делает в нем поэт». ([4], 108).

Возвращение Тихонова к прежней «суховато-рационалистической манере», «мрачно-свинцовые тона», обилие книжно-исторических ассоциаций и мифологических образов, словесные конструкции, которые трудно «поддаются логической и эмоциональной расшифровке» — все эти особенности европейского цикла после кахетинских стихов, в которых Тихонов впервые «расковал» свой лирический голос, критик объяснял, прежде всего, «колоссальной» тематической разницей между двумя циклами.

Лирический герой «Стихов о Европе», оказавшийся в чужом мире, с донятым недоверием оглядывает все вокруг. Под покровом благополучия он обнаруживает чудовищные противоречия, тревожные сигналы века, и недоверие становится лейтмотивом европейского цикла. Тогда как в «Стихах о Кахетии» поэт горячо декларировал глубоко доверительное отношение к жизни, к природе, к человеку.

Полярно-противоположная настроенность циклов как бы обязывала поэта искать различные стилистические средства для передачи внутренней идеи, и этим, очевидно, следует объяснять подчеркнутое несходство между стихотворными циклами, созданными Тихоновым почти одновременно, с незначительным разрывом в один год.

Однако стоит Тихонову вновь обратиться к грузинской теме, будет ли это цикл «Горы» или «Грузинская весна» и «Радуга в Сагурамо», простота и задушевность как необходимые, диктуемые самой темой качества вновь украсят его стихи.

В каждом из названных грузинских циклов Тихонов завоевывал новые высоты, тематические, идейные, стилистические, расширял и разнообразил «грузинскую» тему снова и снова.

Мир в кахетинском цикле Тихонова, хоть и очерченный довольно строго пределами Кахетии (локальность стихотворений должны подчеркивать и сами названия их — «Гомборы», «Цинандали», «Джугань», «Ночной праздник в Алаверды», «Башни Сигнаха»), просторен, распахнут на все четыре стороны, в нем дышится легко, видится далеко. За конкретным образом пленительной, «неистово зеленой» Кахетии, за конкретными образами кахетинцев, запечатленных в процессе самозабвенного труда и столь же самозабвенного веселья, в торжественный предсмертный час, в час удачливой охоты, в нерасторжимом единении с природой — явственно проглядывает в перспективе вся необъятная родина. Любовь к жизни, человеку становится лейтмотивом цикла, наполняя его большим человеческим звучанием.

В следующем за кахетинскими стихами цикле «Горы» Тихонов воспел «священные» кавказские вершины, высота и красота которых одухотворяют человека, делают его чище, лучше, значительнее.

Тему гор нельзя ограничить рамками названного цикла. Тема — горы, вернее — горы и человек — давнишняя и всегдашняя тема творчества поэта, к которой он возвращался и возвращается постоянно в своих повестях, поэмах, стихах разных лет, в книге воспоминаний «Двойная радуга».

Многим обязан Тихонов снежным вершинам, ежегодным альпи-

нистским маршрутам в кавказский заповедный край, горам, с которыми умел он налаживать удивительно живую связь.

Недаром писал П. А. Павленко в одном из писем к другу: «Горы у тебя живые. Они думают, мечтают, любят и ревнуют, как женщины. Ты пишешь о них кинжалом, а не пером» ([5], 140).

Тема альпинизма — одна из ведущих в цикле. Однако внимание Тихонова, в первую очередь, привлекает образ человека в альпинизме, человека, совершающего восхождение на вершины и в процессе этого восхождения выявляющего все свои лучшие физические и духовные возможности.

«Я считаю этот спорт самым мужественным, полным глубокого, почти философского содержания. Он поэтичен и точен, требует отваги, знаний, способствует развитию чувства товарищества, преданности и высокого патриотизма» ([1], 12), — так говорил Тихонов в 1946 году. И именно это философски-поэтическое содержание альпинизма, совершенствующего и формирующего характер человека, и привлекало его к этой теме.

Люди, живущие в горах, и люди, покоряющие вершины, учатся у гор суровой сдержанности, простоте величия. У них появляется необычный, заостренный «высокогорный» ракурс видения и восприятия мира.

Тихоновский лирический герой тоже «одержим высью», тоже познал «радость гор»:

Я сам шагал по вздыбленному снегу
 В тот чудный мир, не знавший берегов,
 Где ястреба как бы прибиты к небу
 Над чашами искрящихся лугов. ([7], 347).

Сам приобщившийся к симфонии гор, Тихонов легко и тонко постиг психологию людей, вечно устремленных в «блаженный, страшный путь», постиг философию жизни и смерти этих «героев, безумцев, провидцев» и потому находил он всегда самые нужные слова для того, чтобы поведать о мужестве мужественных людей, об их несмолкаемой тоске по высотам и подвигам. Именно поэтому так проникновенно рассказал Тихонов в одном из стихотворений о подвиге Александры Джапаридзе, первой женщины, побывавшей «на мрачной вершине Ушбы, одной из самых недоступных на Кавказе». ([8], 73).

«В моих стихах и в прозе о горах я неоднократно обращался к образам наших любимых героев и вождей — С. М. Кирова и Серго Орджоникидзе, которые много боролись в горах Кавказа в гражданскую войну. Киров совершил даже восхождение на Казбек, очень красочно им описанное», ([6], 12) — сказал Тихонов в беседе с корреспондентом журнала «Физкультура и спорт».

И это произвольное, быть может, сближение темы гор с темой гражданской войны, с темой героев — вождей, командовавших легендарными боями, нам кажется, происходило не только потому, что Кавказ оказывался ареной, где разыгрывались важные и узловые события, но и оттого еще, что величественная природа Кавказа настраивала на высокий лад, вызывая к жизни образы вождей и воспоминания об их героических подвигах.

Так, в стихотворении «Гомборы», обозревая с гомборских высот цветущие доли и горы Кахетии, Тихонов воскрешает в памяти картину героического перехода через Мамиссонский перевал, и конечно же, образ Кирова, командовавшего этой легендарной операцией, нанесшей



последний удар по меньшевикам, бежавшим к Батуму. В стихотворении «Киров на Казбеке» Тихонов, по справедливому мнению критика Д. Левоневского, предлагает нам поэтическую интерпретацию статьи С. М. Кирова, описывающей восхождение его на Казбек 9 августа 1910 года и опубликованной в газете «Терек» от 2 сентября 1910 года в № 3815 [9].

В сценарии «Друзья», написанном Тихоновым совместно с Л. Арштамом, рассказывающем о гражданской войне в горах Северного Кавказа, в центре повествования оказался «образ большевика, образ вождя, напоминающий многими своими чертами, многими деталями своей деятельности и Кирова и Орджоникидзе» ([10], 194).

В поэме «Серго в горах» (1957) Тихонов рассказал о том, как шел в девятнадцатом году Серго Орджоникидзе — «гор любимый комиссар» — к народам, населяющим высокогорные области Кавказа, руководя революционной борьбой горских племен.

Уже в самой заглавии поэмы объединяет Тихонов две темы, сливая их в одну — тему героической борьбы в горах под предводительством «грозного и доброго» Серго Орджоникидзе, введившего через узкие тропы Октябрь в сердце гор.

В приподнятом балладном тоне рассказывает Тихонов об одном из героических эпизодов гражданской войны — о временном отступлении конного отряда Серго Орджоникидзе в теснины кавказских гор, о невероятном по трудности походе через обледенелые тропы, повисшие над пропастью и рекой.

В поэме Тихонова помимо того, что удивляют фантастические трудности, возникавшие на пути отряда, и фантастическая выносливость красноармейцев, удивляет еще обилие деталей в описании легендарного пути и удивительная реалистичность их, что объясняется не только стремлением автора поведать правду о героях и героических днях гражданской войны, но и исключительным знанием материала, в котором он мог бы поспорить со многими очевидцами описываемых событий, — ведь Тихонов сам исходил вдоль и поперек те самые орлиные тропы над горной рекой Ассой, по которым шагал в 1919 году героический отряд. «Скал и сакель побратим», как называет себя Тихонов, он побывал во многих селениях — свидетелях героического перехода, с радостью убеждаясь, что прошлое не забыто людьми этого края, и с интересом выслушивал «небывалые» рассказы старожил о Чрезвычайном Комиссаре гор и об его отряде.

В стихотворном цикле «Грузинская весна» (1948) интерес Тихонова к человеку нового социалистического мира становится еще интенсивнее, чем в прошлые годы. Его всегда привлекала «живописность» грузинского характера, особо раскрытая в условиях социалистической Грузии.

Еще до войны, в 1936 году, в беседе с корреспондентом газ. «Литературный Ленинград», поздравляя советский народ с 15-летием установления Советской власти в Грузии, Тихонов говорил, что он с неослабевающим вниманием следил за тем, как «человек Грузии становится социалистическим человеком». «Мы встречаем свана — человека снежных гор, работающего на ферромарганцевом заводе инженером. Из окон завода видны все те же «горные вершины». Но как расширился мир этого свана. Мы встречаем грузинского инженера, строящего огромную электростанцию. Грузинская девушка бросается на парашюте с крыла самолета. Хевсур садится за руль автомобиля, грузинский моряк стоит за штурвалом корабля. Грузинские альпинисты достигают мировых рекордов (взятие Ушбы)» [11], — говорил Тихонов, раду-



ясь тому, как рос и совершенствовался человек социалистической Грузии, не теряя при этом «живописности», «природного многообразия», и не становясь «человеком-заповедником», оторванным от советской современности.

Стихотворные циклы Тихонова никогда не бывали «безлюдны», однако «Грузинская весна» особенно тесно населена героями современности — это и пастухи, повстречавшиеся поэту на Военно-Грузинской дороге, на груди у которых красуются ряды пестрых ленточек, напоминающие о недавнем военном прошлом; это и виртуозная сборщица чая, и седой грузинский инженер, строящий гидроэлектростанцию на реке Храми, с образами которых связана в цикле тема красоты и величия созидательного труда; это и секретарь райкома в Аспиндзе, с жаром повествующий о славной победе царя Ираклия над турками в 1770 году, живо заинтересованный прошлым и настоящим своего края, с одинаковым увлечением рассказывающий о битве при Аспиндзе и о новой породе коз; это ветераны — строители Рустави, много потрудившиеся и на строительстве Ткварчели, РионГЭСа, ХрамГЭСа, Военно-Грузинской дороги, собравшиеся со всех концов Советского Союза; это и женщина-крестьянка с печальным добрым взглядом, вдова бойца, похороненного в дубраве над Невой; это и удалой уралец, воевавший на Кавказе, а после войны работающий техником на Руставском металлургическом заводе взамен погибшего на войне друга-тбилисца и др.

«Грузинская весна» написана сразу же после Великой Отечественной войны, и, естественно, лирический герой все еще под впечатлением войны, грозная память о ней ощущается и в образно-лексическом оформлении стиха, и в ассоциациях поэта, в тематическом характере стихов, и в общей настроенности цикла.

Горы у Тихонова — «ветераны ледяные», Казбек — «снежный маршал высоты»: взгляд его приковывают «пестрых ленточек ряды» на груди у пастухов и шинель без погон на плечах у одного из них; и как следствие встречи с пастухами-бойцами, воскресает ассоциативно память о венских боях, о карпатских кряжах, о выюгах в кавказских горах. В стихотворении «Сны Аспиндзы» рассказы о древней битве с турками влекут за собой воспоминание о современных битвах и грозное предупреждение автора, что «за рекою опять лежит граница» и дышит по ущелью «тревожный ветер». В стихотворении «Када», далеко не случайно када, поднесенная женщиной-крестьянкой, вызывает ассоциацию о суровой блокаде, о том, как заботился и пекся о ленинградцах весь советский народ.

В этих постоянных переключениях поэтического повествования из одного плана в другой, в этих частых и резких смещениях временных, пространственных, исторических пластов, узнается одна из особенностей тихоновской поэтики, а именно — «склонность к поэтическим ассоциациям, восприятие вещей и событий в определенных аналогиях и связях, помогающих глубже раскрыть сущность этих вещей» ([12], 84).

Тема дружбы народов, органичная и близкая для Тихонова всегда, становится в «Грузинской весне» одной из ведущих. После четырех разрушительных трагических лет радостнее и ярче воспринимается основная тенденция многонационального государства — дружба между народами, спаянными навсегда в ожесточенной борьбе против общего врага. Уверенность в нерушимости основ этой великой дружбы вдохновила Тихонова на многие стихотворения цикла («Песня о дружбе», «Рустави», «Када» и др.). Ощущением не близости, а родства с представите-

лями новой социалистической Грузии проникнут весь послевоенный сборник.

И хотя внешне стихи Тихонова стали строже и суше, в них суше и разборчивее, чем в «Стихах о Кахетии», отбирает поэт материал, в его отношении к грузинскому миру появилось больше проникновенности, больше доверительного и уважительного отношения к человеку, потому что связь его с Грузией стала глубже, серьезнее.

«Стихи о Кахетии» отличались «философской ясностью и поэтичностью», но «реальные исторические картины созидательной жизни кавказских народов» Тихонов, по мнению И. Эвентова, воспроизвел впервые во всей конкретности именно в цикле «Грузинская весна» ([12], 84).

Мы полностью согласны с И. Эвентовым. «Грузинская весна», воссоздающая «реально-исторические картины» жизни Грузии, — это подлинный гимн творческому труду советского народа и героям этого труда.

Тепло и сердечно изображенные Тихоновым люди в своем величии, по мнению поэта, ничуть не уступали самому Казбеку:

Ты, Казбек ледяноплечий.
 Оцени их и пойми,
 Что тебе гордиться нечем
 Перед этими людьми. ([7], 462).


Герои, которыми так гордился Тихонов, были не выдуманы им, это были реальные люди современности, с кем он сталкивался, знакомился сам, главным образом, во время пребывания своего в Грузии весной 1947 и осенью 1948 года.

В. Гольцев, сопровождавший поэта во многих поездках его по Грузии, засвидетельствовал, например, что в стихотворении «Сны Аспиндзы» все основано на совершенно конкретных жизненных впечатлениях, что «поэт реалистически правдиво и даже точно рассказал о том, как секретарь райкома тов. Дзевбисашвили водил нас по новым усадьбам колхоза, виноградникам и по полю знаменитой Аспиндзской битвы 1770 года». «Потом, — продолжает В. Гольцев, — он показывал нам древний пещерный город Вардзия и с увлечением говорил о расцвете районов, некогда варварски разорванных турецкими захватчиками. И в этом своеобразном сочетании героики исторического прошлого Грузии с героикой труда строителей коммунизма, с побегами самого прекрасного будущего и образами новых людей поэт ощутил романтическую тему для стихотворения» ([13], 159—162).

Все эти подробности поездки и сведения о встрече с людьми, данные в документальном пересказе В. Гольцева, претворены и в стихотворении Тихонова, в котором поэт на основе действительных впечатлений воссоздал реальный и в то же время обобщенный образ секретаря райкома, прекрасного знатока и патриота своего края, неутомимого работника, типичного представителя нашей современности.

Говоря о предпочтительном интересе Тихонова к конкретно жизненному материалу при построении образов, сюжетов, тем своих художественных произведений, нельзя не вспомнить случай, рассказанный Георгием Леонидзе о «крестоносце любви», как он называл Н. Тихонова, и о процессе возникновения его стихотворения «Радуга в Сагурамо».

«Ранней зимой, — вспоминал Г. Леонидзе, — я пригласил Тихонова с супругой в Сагурамо. Стоя на балконе дома Ильи Чавчавадзе, мы вели



разговор о поэзии. Вдруг с севера я заметил радугу, появившуюся над Эрдойскими горами, и шутливо обратился к дорогим гостям: «Вот я, как гостеприимный хозяин, организовал вам радугу!» — Смеясь, мы вскоре покинули Сагурамо. На этом и кончилась вся история, но потом, к моему удовольствию, я прочел изумительное стихотворение:

Она стояла в двух шагах,	...И этот свет все рос и рос,
Та радуга двойная,	Был радугой украшен,
Как мост на сказочных быках,	От сердца к сердцу строя мост
Друзей соединяя.	Великой дружбы нашей ([14], 106).

Можно было бы и не вспоминать этот случай, рассказанный Леонидзе, если б он был единственным и не типичным для творческой практики Тихонова.

Тихонов относится, как нам кажется, к той категории поэтов, контакты которых с реальной действительностью так тесны и непосредственны, что живые картины, эпизоды, образы, диалоги, лица, поступки, события, встречи без особой трансформации перевоплощаются в их произведениях в художественные ценности, нуждаясь только в той доле вымысла, которая способствует их обобщению и типизации, не лишая их, однако, при этом сходства с реальным источником их происхождения.

На вполне реальных конкретных наблюдениях основаны и поэтические образы в стихотворении «На ХрамГЭСе».

Обратимся к воспоминаниям самого Тихонова:

«Я сам держал на своей ладони древние подвески незапамятных времен — маленьких золотых коней, найденных при раскопках на Цалке в Грузии. Я испытывал необыкновенное ощущение, когда гладил их крошечные золотые привы, их золотые попонки. Это были творения неведомых мастеров, которые будут вызывать восхищение всех, кто их видит, до окончания века. Эти крохотные кони говорили еще о том, что древняя цивилизация Кавказа была высокой и совсем не изолированной от остального мира» ([15], 464).

Так писал Тихонов в свойственной ему манере обобщать конкретное, пристально вглядываясь в суть вещей, изучать явления и предметы не изолированно, а комплексно, с учетом их исторической ценности, исторической биографии и скрытого для многих смысла, а в стихах он почти не отходил от описания, данного в очерке — воспоминании:

Эти крошечные кони,
Но работы не простой:
В золотой они попоне,
Даже с челкой золотой. ([7], 467).

И хотя Гольцев не рассказал о других встречах Н. Тихонова с представителями Советской Грузии, мы не сомневаемся, что реально существовали шофер-кахетинец, с которым Тихонов совершал свой перелет от Сигнаха до Телава; и сборщица чая, поразившая его быстротой и ловкостью смуглых рук; и женщина-крестьянка, радушно угощавшая поэта в каком-то грузинском колхозе кадой, и многие другие герои его «грузинских» стихов, так же, как не приходится сомневаться в реальности секретаря райкома тов. Дзедзашвили, инженера-строителя Храм-ГЭСа; как не сомневаемся мы в реальности С. Орджоникидзе, С. М. Кирова, Б. Дзnelадзе, одного из первых комсомольцев Советской Грузии (стих. «Мне кажется, что я встречался с ним...»), С. Шаншиа-

швили, Александры Джапаридзе и многих других выдающихся героев тихоновской поэзии, прототипов которых нам не приходится отгадывать, потому что личности их не «зашифрованы» поэтически Тихоновым.

Стремление к реалистическому изображению жизни, людей «современья» намечилось в творчестве Тихонова еще в конце 20-х годов и в начале 30-х годов («Лицом к лицу», «Выра», «Юрга», «Кочевники» и др.). В последующие годы это стремление не ослабевает и даже в сборнике «Стихи о Кахетии», в котором, в целом, преобладает лирическое начало, продолжает сказываться интерес поэта к объективному герою, человеку Грузии.

Сборники «Радуга в Сагурамо» и «Грузинская весна» уже почти целиком посвящаются рассказу о людях, о строителях нового социалистического мира, о выдающихся людях современности и прошлого.

Нельзя не вспомнить, например, стихотворения, вдохновленные творческой и человеческой дружбой с грузинским поэтом Сандро Шаншашвили; очерк-новеллу из книги воспоминаний «Двойная радуга», в котором Тихонов увековечил память о «старинном джуганском доме», символизирующем интернациональную дружбу поэтов, ставшем для него живым, родным существом; рассказ «Ночь и день», в котором описал писатель дни пребывания своего с супругой Марией Константиновной в Сагурамо, в доме-музее Ильи Чавчавадзе; стихотворение «Цхнети осенью 1939 года» и рассказ «Цхнетские вечера», повествующие о том, как Н. Тихонова и Г. Леонидзе, увлеченных творческой работой в мире покоя и радостей уединенной сельской жизни, застала врасплох неожиданная весть о начале второй мировой войны.

Основой для всех вышеназванных произведений послужили достоверные впечатления и факты, реальные встречи с реально существующими людьми, однако, то, что писатель придерживается жизненной правды, вплоть до мельчайших деталей, не лишает их художественной обобщенности, не сужает значения их до рамок документального повествования.

В этом тяготении к объективизации образов и в заметном ограничении субъективно-лирических мотивов, проявившемся в 40—60-х годах, нам кажется, своеобразно сказывалась все усиливающаяся склонность Тихонова к реалистическому методу изображения жизни и характеров.

Кафедра истории русской
литературы

ЛИТЕРАТУРА

1. Г. Ломидзе. Проблема творческого взаимодействия литератур народов СССР. В кн.: Взаимосвязи и взаимодействия национальных литератур. М., 1961.
2. Инн. Оксенов. От «Походной тетради» к «Стихам о Кахетии». Ж. «Литературный современник», 1935, № 1.
3. Ан. Тарасенков. Кавказские стихи Н. Тихонова. «Знамя», 1936, № 12.
4. М. Гутнер. «Стихи о Европе» Н. Тихонова. «Литературный современник», 1936, № 12.
5. П. А. Павленко. Из писем к другу. «Знамя», 1968, № 4.
6. Н. С. Тихонов. Приветствие от Председателя правления ССП. Ж. «Физкультура и спорт», 1946, № 7.
7. Н. С. Тихонов. Собрание сочинений в 6-ти томах. ГИХЛ, М., 1958.

8. Н. С. Тихонов. Стихи о Грузии. Изд. «Заря Востока», Тб., 1958.
9. Дм. Левоневский. Грузинская весна. «Ленинградская правда», 1949, № 136, 11/VI.
10. Н. Коварский. О сценарии «Друзья». «Звезда», 1936, № 12.
11. Беседа с Н. Тихоновым. Счастливая Грузия. «Литературный Ленинград», 1936, № 10 (155), 26 февр.
12. И. Эвентов. Грузинская лирика Н. Тихонова. «Звезда», 1949, № 11.
13. В. Гольцев. Грузинская весна. «Дружба народов», 1949, № 4.
14. Г. Леонидзе. Цитирую по кн.: Г. Маргвелашвили, Г. Леонидзе, Тб., 1970.
15. Н. Тихонов. Двойная радуга. «Сов. пис.», М., 1969.

მ. ჭრისტისაშვილი

ქართული თემა ნ. ტიხონოვის შემოქმედებაში

(40—60-იანი წლები)

რ ე ზ ი უ მ ე

ქართული თემა ერთ-ერთი წამყვანი თემაა ნიკოლოზ ტიხონოვის შემოქმედებაში. საქართველოს მიუძღვნა მან მაღალმხატვრული პოემები, ლირიკული ლექსების კრებულები, მოთხრობები, ნარკვევები და მოგონებები, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, მთელი პერიოდი შექმნეს პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ქართულ მასალაზე აღმოცენებულ ნაწარმოებებში შესამჩნევად გაძლიერდა პოეტისათვის დამახასიათებელი ლირიკული ინტონაცია, მისი ლექსი უფრო სადა, შელოდიური და ყღერადი გახდა.

საქართველოს ისტორიული წარსულის, მისი აწმყოს, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ბუნების თავისებურება რამდენადმე უბიძგებდა მწერალს თემისათვის შესატყვისი პოეტური ხერხების, ბუნებრივი სტილისა და ინტონაციის შერჩევისაკენ.

ნ. ტიხონოვის მიერ საქართველოს თემაზე შექმნილი ნაწარმოებები მეტად მრავალფეროვანია. მაგრამ რაზედაც არ უნდა წერდეს შემოქმედი, მისი ყურადღების ცენტრში ყოველთვის პიროვნებაა მოქცეული, რაც მის თხზულებებს დიდი პუმანურობით ატავსებს.

ნ. ტიხონოვმა განსაკუთრებით უხვად წარმოგვიდგინა თანამედროვეობის გმირები 40—60-იან წლებში დაწერილ პოეტურსა და პროზაულ ქმნილებებში. ისინი უმეტესად ის ადამიანები არიან, რომლებსაც მწერალი საქართველოში მოგზაურობისას გასცნობია.

ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც ნ. ტიხონოვი იჩენს ცხოვრებისეული მასალის მიმართ, ხშირად უმცირესი დეტალების სიზუსტის შენარჩუნებამდე, მხატვრული სახეების ობიექტივაციისაკენ მიდრეკილება და სუბიექტური მოტივების საგრძნობი შეზღუდვა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 40—60-იან წლებში შექმნილ ნაწარმოებებში, ჩვენი აზრით. თავისებური მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ნ. ტიხონოვი სულ უფრო დაბეჯითებით მისი წრაფოდა ცხოვრებისა და ხასიათების რეალისტური მეთოდით ასახვისაკენ.

M. KRISTESASHVILI

GEORGIAN THEME IN N. TIKHONOV'S WORKS

(The 1940s and '60s)

S u m m a r y

The Georgian theme is a leading one in Tikhonov's works. Georgia figures in many of his highly artistic poems, stories, essays and reminiscences which form a whole period in the poet's biography.

The lyrical intonation—characteristic of the poet—becomes conspicuous in his works written on Georgia subject matter, his verse growing more refined and melodious.

The specificities of Georgia's past and present, the way of life of her people and her nature to some extent prompted the writer to select appropriate poetic devices, natural style and intonation.

Tikhonov's writings on the Georgian theme are varied. However, irrespective of the subject matter on hand his attention is invariably focused on man, this imbuing his work with great humanism.

Contemporary personages are amply represented in Tikhonov's poetry and prose of the 1940s—60s. These are mostly persons whom the poet met during his travels in Georgia.

The particular interest evinced by Tikhonov in material furnished by everyday life—often seen in his faithful rendering of minute details—his tendency toward the objectification of images and suppression of subjective motives (which is particularly noticeable in his works of the '40s—'60s) suggest that Tikhonov strove for realistic representation of life and personages.

„გატეხილი ყამირის“ „წყნარ ღონთან“ კავშირის საკითხისათვის

თაბაჯ ებანოიძე

როგორც ცნობილია, „წყნარი ღონის“ პირველი სამი წიგნი რომ გამოაქვეყნა, მიხეილ შოლოხოვმა შეწყვიტა ამ ნაწარმოებზე მუშაობა და „გატეხილი ყამირის“ პირველი წიგნი დაწერა; შემდეგ დაუბრუნდა „წყნარ ღონს“, დაწერა უკანასკნელი, მეოთხე წიგნი და უკვე ამის მერე, მოგვიანებით, დაამთავრა „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნი. ასეთი თანმიმდევრობით გამოვიდა ეს ორი ეპოპეა.

ბუნებრივია, რომ ბრწყინვალე ქმნილებებს არაერთი გამოკვლევა მიჰქონდა მრავალგზის აღნიშნულა მათი ისტორიული თუ ჰუმანისტური კონცეფციის ერთიანობა, მათი მსგავსებისა და განსხვავების ცალკეული ელემენტები (იხ. მაგალითად, [1]); კერძოდ, ისიც თქმულა, რომ „გატეხილი ყამირის“ პირველი წიგნი ურღვევ კავშირშია „წყნარი ღონის“ პირველ სამ წიგნთან „არა მარტო სტილის, პოეტიკისა და სხვა განსაკუთრებულობათა ერთიანობით, ... არამედ მაგისტრალური თემის ერთიანობითაც“ [1].

ერთმანეთს აღარებენ რომანების გმირებს, სემიონ დავიდოვთან ილია ბუნჩუკს ასხენებენ—ორივე პარტიის წარგზავნილია და მისი ერთგული შვილი; მაკარ ნაგულნოვისათვის დამახასიათებელ უცარ აფეთქებებს გრიგორი მელეხოვის უსაზღვრო სიფიცხეს ამსგავსებენ, „თუმცა არავითარი სხვა მსგავსება მათ შორის არ იქნება“ [2]; გვერდიგვერდ აყენებენ პაპა შჩუკარსა და პროხორ ზიკოვს—როგორც გულგაუტეხელი, გულარხეინი მოდგმა—ტომის წარმომადგენლებს; ედოკია რაზმიოტნოვასა და ნატალია კორშუნოვას—როგორც სიყვარულში ერთგულ, ღრმა განცდების ქალებს; ლუკერია ნაგულნოვასა და დარია მელეხოვას—როგორც უზრუნველებსა და საოცრად ხალისიანებს. თუ მოვისურვებთ, ეს სია შეიძლება გავაგრძელოთ...

ჩვენს შენიშვნებში მიზნად ვისახავთ მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ცალკეულ ელემენტებს, კონკრეტულ „კომუნიკაციებს“, რომლებიც „გატეხილ ყამირის“ „წყნარ ღონთან“ აკავშირებს; ჩვენი დაკვირვებები წმინდა „შინაარსობრივი“ ხასიათისაა და პირველ რიგში პერსონაჟებს ეხება.

1. პაველ ლიუბიშკინი „წყნარ ღონში“ მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება ([3], 583), რომ დიდი ხნის მერე კვლავ მოგვევლინოს „გატეხილ ყამირში“; და თუმცა ლიუბიშკინი არ მიეკუთვნება „გატეხილი ყამირის“ მთავარ გმირთა რიცხვს, სამაგიეროდ მეორეხარისხოვან პერსონაჟთა შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა.

„წყნარი ღონის“ მეხუთე ნაწილში (წიგნი მეორე) შესანიშნავი შტრიხებითაა აღწერილი სასტიკი, სისხლიანი ბრძოლა დონრევკომის გოლუბოვის რაზმსა და



დონის ჯარის ჩერნეცოვის რაზმს შორის, ამ ბრძოლაში გრიგორი მელეხოვი, რომელმაც „თითქმის მიიღო წითელი სარწმუნოება“ ([3], 574), კიდევ ერთხელ დაიჭრა: „ნაშუადღევს სამ საათზე გრიგორისაც მიუალერსა ტყვიამ. გავარდარე-ბულმა, ნიკელის ბუდეში ჩასმულმა ტყვიამ მუხლის ზევით რბილი ხორცი გაუხვ-რიტა და დასწვა... ასეულის უფროსობა გრიგორის თანა შემეშე-ოფიცერმა პაველ ლიუბიშკინმა ჩაიბარა¹. ლიუბიშკინის ბრძანებით გრიგორი ორმა ცხენმატარმა კაზაკმა წაიყვანა“. ([3], 582—583), ეს ბრძოლა შედგა 1918 წლის იანვარში (რაც ადვილად შეიძლება დადგინდეს); და აი, ზუს-ტად 12 წლის შემდეგ, 1930 წლის იანვარში, სწორედ ეს (როგორც ჩვენ გვგონია) პაველ ლიუბიშკინი გვხვდება „გატეხილ ყამირში“ გრემიაჩელი აქტივისტებისა და ღარიბების კრების სცენაში ([5], 28);

„—კაცო, რა შენი აგიტაცია გვინდა! ჩვენ თავიან-ფეხებიანა შევალთ კოლ-მეურნეობაში, —გააწყვეტინა² წითელმა პარტიზანმა პაველ ლიუბიშკინმა, რომელიც ყველაზე ახლო იჯდა კართან... წამოდგა, კუშიტი ფაფახი მოიხადა და თავისი მა-ღალი ტანითა და მხარბეჭით კარებში გაიხიდა.

—არა, ერთი მითხარი, რა საჭიროა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისთვის შენ აგიტაციას გვიწევ აქა? ომის დროს თვითონ ჩვენ ფეხზე დვაყენეთ ის აქა და მხარი მივეცი, რომ არ წაქცეულიყო. ვიცით, რა ხილია ეგ კოლექტია და კიდევაც შევალთ შიგა“.

სავარაუდოა, რომ პაველ ლიუბიშკინი, ეს „საქენიანი ატამანი“, როდი გადა-დიოდა ერთი ბანაკიდან მეორეში. იგი ყოველთვის სახალხო ხელისუფლების ერთ-გული რჩებოდა, რასაც ვერ ვიტყვით მის მეთაურზე გრიგორი მელეხოვზე, ამ მეტად ნიჭიერ, მაგრამ მერყევ, უბედურ კაცზე, რომელიც ვერ მოერია ეჭვებს, ვეღარ გაერკვა, ვის მხარეს იყო სიმართლე და „თავის გზას გადაუხვია“ (როგორც მოსწრებულად შენიშნა ბრუციაანმა ბერიკაცმა ჩუმაკოვმა, [4], გვ. 796)...

2. ხუტორი გრემიაჩი ლოგი, სადაც „გატეხილი ყამირის“ ძირითადი ამბები ხდება, ერთხელ მოიხსენიება „წყნარი დონის“ მესამე წიგნში ([4], 84), აი შესაბამისი ნაწყვეტიც; „თვის ბოლოს პოლკმა ელანსკაიას 33-ე პოლკის ასეულთან ერთად, რომელიც გვერდით მიდიოდა, ხუტორი გრემიაჩი ლოგი დაიკავა.

ძირს ვაკეზე, ჯგუფად იდგა ტირიფები, კოპიტები და ალვის ხეები, ფერ-დობზე კი—ოცდაათამდე თეთრად შეღესილი ქონი, რომლებსაც ქვის დაბალი ყორეები ჰქონდა შემოვლებული. ხუტორს ზემოთ, გორაკზე, ძველი წისკილი, რომელსაც ყოველი მხრით ქარი უბერავდა, თეთრი ღრუბლების ფონზე ირიბად დახრილ ჯვარივით ჩაშავებულიყო. წვიმიანი და ღრუბლიანი დღე იყო. გორაკზე ყვითელი ფოთლების კორიანტელი ტრიალებდა; ფოთლები შრიალით ეფინებოდა მიწას, ყოლოსფრად მოჩანდა გადაფურჩქენილი მანუელი. კალო საესე იყო მოღა-ლანე ბზით. მტკნარსუნინან დედამიწას ზამთრის ფაფუკი ბინდი ეფარებოდა.

გრიგორიმ თავის ოცუელთან ერთად მისთვის გამოყოფილი სახლი დაიკავა, როგორც გამოირკვა, სახლის პატრონი წითლებს გაჰყოლოდა. ოცუელს მთელი გულისყურით ემსახურებოდა ხანში შესული წარმოსადგეი დიასახლისი და მისი ქალიშვილი. გრიგორი სამზარეულოდან წინა ოთახში შევიდა და მიიხედ-მოიხედა. ეტყობოდა სახლის პატრონები შეძლებულად ცხოვრობდნენ. გრიგორის თვალში მოხვდა შეღებილი იატაკი, ვენური სკამები, სარკე...“.

¹ ხაზი აქ და ქვევითაც ჩვენია—თ. ე.

² დავიდოეს—თ. ე.

ქართული
ლიტერატურის
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

გავიხსენოთ, რომ გრემიაჩი ლოგში, სწორედ ამ სახლში გამოეცხადა გრიგორის მამამისი დარიასთან ერთად. ყაირათიანი, თადარიგიანი პანტელეი პროკოფიევიჩის ჩამოსვლის მიზანი სხვისი ქონების მიტაცება იყო. ჩვენ აქ შევიტყობთ, რომ ერთი კვირის წინ მან უფროსი ვაჟი პეტრო მონახულა: „მე იქ, შვილო, ბევრი რამ ვიშოვნე. პეტრო მარჯვე კაცია, კარგი მეოჯახე, ერთი ტომარა ტანსაცმელი მომცა. ცხენიც, შაქარიც... კარგი ცხენია“... ([4], 88); ოღონდ გრიგორი პეტრო როდია და მამაშვილი ცხარედ შეეჯახება ერთმანეთს; თუმცა ამან როდი შეუშალა ხელი პროკოფიევიჩის გრიგორის გამგზავრების მერე გრემიაჩი ლოგი „ბოხჩებით სავსე ბრიჩკით“ დაეტოვებინა.

საინტერესოა, რომ ზემოთ მოხსენებული ძველი წისქვილი, „რომელსაც ყოველი მხრით ქარი უბერავდა“, არაა დაფიქსურებული „გატეხილ ყამირში“: „...და მეორე დღეს ის,¹ მაკარ ნაგულნოვი, ატამანელი ლიუბიშკინი, ტიტ ბოროდინი და ფრონტელი რვა კაზაკი ჯერ კიდევ დილიდანვე ანდრეის ქოხის ახლოს შეიყარნენ, შეკაზმულმა სხვადასხვა ფერის ცხენებმა ქართას იქით გააიყვანეს მხედრები და შარახე დიდხანს ტრიალებდა ვახაფხულის მტვერი, მსუბუქი ნალებით დაჭედელ ცხენთა ფეხებმა რომ ააბუქეს“ ([5], 38).

საყურადღებოა ისიც, რომ გრემიაჩი ლოგი „წყნარი ღონის“ პირველ წიგნშიც გვხვდება, მაგრამ არა როგორც ხუტორის, არამედ იაგოდნოეს ახლოს ერთი ადგილის სახელი (ამიტომაც იწერება *Гремячий лог*—მეორე სიტყვა პატარა ასოთი იწყება განსხვავებით ხუტორის სახელისაგან *Гремячий Лог*). შვილის, ეგვენის შეკითხვას—ნადირობამ როგორ ჩაიარაო, მოხუცი გენერალი ლისტინცივი პასუხობს: „—გრემიაჩი ხევიდან მელა გამოვაგდეთ, მივდიეთ ტყის პირამდის, ბებერი მელა გამოდგა, ძაღლები მოატყუა“ ([3], 155).

3. იაკოვ ფომინი წინა პლანზე პირველად გამოდის „წყნარი ღონის“ მეოთხე ნაწილში (წიგნი მეორე— [3], 440); შეიძლება დროის განსაზღვრაც—1917 წლის თებერვალი: „პეტრო უსმენდა ფომინის უთავბოლო სიტყვას და მოაგონდა 1917 წლის თებერვალი, ის დღე, როდესაც პოლკში დარია ჩამოვიდა. პეტროგრადისაკენ მიმავალმა პეტრომ მაშინ პირველად დაინახა ფომინი სადგურზე“ ([4], 108). თავიდან მას ვეცნობით, როგორც განიერქერაულვაშა და ქერაწარბა კაზაკს ელანის სტანიცის ხუტორ რუბეჟინიდან, დეზერტირ ატამანელს (პეტროს შეკითხვაზე—მაშ გამოიქეცი? როგორ მოგივიდაო, მიუგებს: ველარ ავიტანე, ძმაო). ფომინის შემდგომ გზას შეიძლება საგულდაგულოდ გაგვეთ „წყნარი ღონის“ მესამე და მეოთხე წიგნებში: 1918 წელს ის, ვახმისტრი, „უჭკუო, გონებაშეზღუდული კაზაკი“ ([4], 102) სათავეში ჩაუდგა მეამბოხე პოლკს; ასე იქცა 28-ე პოლკი, რომელმაც ფრონტი მიატოვა, ფომინის მეამბოხე პოლკად; ატამან კრასნოვის ტელეგრაფით გადმოცემულ ბრძანებას—ჭკუა მოიკრიფე და პოლკით პოზიციაზე დადექიო, ფომინმა ტელეგრაფითვე უპასუხა—წადი შენი დედაო—([4], 115), ორი წელი ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, თავდაჯერებული და ბაქია ვახდა, „საოლქო რევეკომს განაგებდა“ (პეტროს სიტყვებით, [4], 144); როცა კაზაკები კომუნას აუჯანყდნენ, ვიოშენსკაიდან გაიქცა და აჯანყების ჩახშობის შემდეგ სულ სხვა კაცი ვახდა: „მას კოხტად შეეკრილი კავალერისტული ფარაჯა ეცვა, სათუთად მოვლილი ქერა ულვაშები ლამაზად აეგრინხა და მთელ ფიგურაში, გამოზომილ ვაჟაკატურ სიარულში და კმაყოფილ ღიმილში, პირად უპირატესობასა და წარმატებას ამჟღავნებდა“—([4], 753).

¹ ანდრეი რაზმიოტნოვი—თ. ე.

შემდეგ სხვადასხვა მიზეზებმა—საყარაულე ბატალიონის აჯანყებამ, რომელსაც ბატალიონის მეთაური, ფომინის მეგობარი და თანამოსამსახურე ვაკულინი ხელმძღვანელობდა ([4], 766), კომისართა მოძალობამ, სასურსათო გაწვრამ („ერთი ცუნანოთ, ვიოშენსკაიაში ჩავედით, იქ კი ჩვენი ოჯახებისათვის სასურსათო რაზმებს მთელი პური წაურთმევიათ? კაზანკელები ძალიან ნაწყენი არიან ამ სასურსათო რაზმებზე. მარცვალს არ სტოვებენო, სულ მიაქვთო“...—([4], 767)—ფომინი კვლავ აქცია მუამბოხედ; ამჯერად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულნი ესკადრონის მეთაური გახდა. ეს, როგორც ტექსტიდან იოლად დგინდება, 1920 წლის ბოლოს იყო.

მომდევნო წელს ფომინი ოლქში დაეხეტებოდა ესკადრონთან ერთად; იმედი ჰქონდა, რომ კაზაკებს საბჭოებზე წააქეზებდა და წამოშლიდა; „ფომინის ბანდაში აპრილის¹ პირველ რიცხვებში მხოლოდ ოთხმოცდაექვსი მხედარი იყო“—([4] 794), ეს რომ 1921 წელია, მოხუცი ჩუმაკოვის სიტყვებიდანაც ჩანს, როცა ის გრიგორის მიმართავს: „ცოტა ხანს გეომათ მინც, მეოთხე წელია ჩხუბობთ“—([4], 796); თუ 1918 წლიდან ავთვლით, როცა ეს „ჩხუბი“ დაიწყო, მაშინ მართლაც 1921 წელი გამოდის.

ფომინის დაღუპვის ამბავს ჰყვება მისი თანამებრძოლი ჩუმაკოვი (ახლახან ნახსენები მოხუცის თანამოგვარე), რომელიც „წყნარი ღონის“ დასასრულს დეზერტირებთან (მისივე თქმით, „მშვიდობიან ყაჩაღებთან“) მიდის და იქ გრიგორის ხედება, ძნელი დასადგენი არაა, რომ ფომინის ბანდის განადგურება 1921 წლის მიწურულს ხდება, უფრო ზუსტად, ოქტომბრის თვის შემდეგ.

ფომინი და მისი ბანდა ერთხელაა მოხსენებული „გატეხილ ყამირში“, რაიკომის ბიუროს სხდომის ცნობილ სურათში. ვავისხენოთ, რომ ამ სხდომაზე მაკარ ნაგულნოვს პარტიის რიგებიდან რიცხავენ. თავზარდაცემული და გაშმაგებული მაკარი ყვირილით მიმართავს საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ხომუტოვს:

„შენ რას იკრიკებო, ხომუტოვ, როგორც ბ...? ჩემს ცრემლებს დასცინი? შენ!... თუ დაერთ წელში², როცა ფომინი თავის ბანდით ოლქში დაწანწალობდა, შენ ოლქკომში მოხვედი, ვახსოვს? ვახსოვს, ძაღლის გავარდნილო? მოხვედი და პარტილიეთი დასტოვე, სოფლის მეურნეობას მინდა ხელი მიეყო... შენ ფომინის გეშინოდა! ამის გამო მიატოვე პარტილიეთი“...—([5], 259).

ზემთმობიდან შეიძლება დავსკვნათ, რომ ფომინი და მისი ბანდა „გატეხილ ყამირში“ „წყნარი ღონიდან“ „მოდიან“.

4. კიდევ ერთი პერსონაჟი, „გატეხილი ყამირის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი, „გადმოდის“ „წყნარი ღონიდან“. ესაა ალექსანდრ პოლოვცევი. სამხარეთ პოლიტსამმართველოს ლაქლაქა თანამშრომლის ბიოკო-გლუხოვის მონაყოლის მიხედვით, ის და ხიენიაკი დაეძებენ პოლოვცევს, თეთრი არმიის ყოფილ ესაულს, დამსჯელს, პოდტიოლკოვისა და კრივოშლიკოვის რაზმის სიკვდილით დასჯის მონაწილეს—([5], 595).

ეს დასჯა შემადრწუნებლადაა გადმოცემული „წყნარი ღონის“ მეხუთე ნაწილის (წიგნი მეორე) ფურცლებზე. აქ ჩვენ პოლოვცევს არც ერთხელ არ ვხვდებით, მაგრამ ის, რევოლუციის დაუძინებელი მტერი, ადვილად შეიძლება „გავარჩიოთ“ დამხერებტ კაზაკთა მჭიდრო მწყრივში. ეგებ პოლოვცევი ახლოს იდგა სასტიკ და

¹ 1921 წლისა—თ. ე.

² ქართულ თარგმანში შეცდომით წერია „ოც წელში“—თ. ე.

ვერაგ, პირდაპირ ბარბაროსული სულის მქონე მიტკა კორშუნოვთან, ეგებ მასავით მოეჭუტა თვალები—ღრმად ჩამჯდარი კუშტი თვალები, მასავით ისრებოდა წინ და მტკიცედ ტუჩებმოკუმული პირდაპირ მკერდში უმიზნებდა წყარი ღონის რომელიმე უმწეო შვილთაგანს...

დაბოლოს, შევნიშნავთ, რომ პოდტიოლკოვის რაზმი მოიხსენიება „გატეხილი ყამირის“ დასაწყისშიც, როცა მოთხრობილია ანდრეი რაზმიოტნოვის ტრავიკული ხვედრი: „ხოლო სამი თვის შემდგომ, კრივია მუზგას ახლოს შესახვევ პუნქტზე, ყუმბარის ნამსხვრევით მსუბუქად დაჭრილმა ანდრეიმ შემთხვევით შეხვედრილ თანასტანიცელისაგან შეიტყო, რომ პოდტიოლკოვის რაზმის განადგურების შემდეგ, გრემიაჩი ლოგში თეთრმა კახაკებმა, ანდრეის ხუტორელებმა, წითლებთან წასვლის საზღაურად, მის ცოლს ავი დღე დააყენეს; ეს ამბავი მთელ ხუტორს მოედო, ევლოკიამ შავი სირცხვილი ველარ აიტანა და თავი მთიკლაო“—(15), 38).

ამგვარად, „წყნარ ღონსა“ და „გატეხილ ყამირში“ საერთო პერსონაჟებისა და დამაკავშირებელი ელემენტების არსებობა, ჩვენი ფიქრით, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „გატეხილ ყამირის“ საფუძვლად მწერლის პირადი დაკვირვებებიც უდევს, რომ მ. შოლოხოვმა მშვენივრად იცის ღონის მხარე და მხურვალედ უყვარს იგი. სწორედ ეს ცოდნა და სიყვარულია „რეალიზებული“ მის უკვდავ ქმნილებებში.

რუსული ლიტერატურის ისტორიის
კათედრა

ლიტერატურა

1. А. Метченко. Великой силой слова. „Правда“, 23 мая 1975 г.
2. Анатолий Канинин. Время „Тихого Дона“. „Известия“, 22 февраля 1975 г.
3. მიხეილ შოლოხოვი, „წყნარი ღონი“. წიგნი I—II. თბილისი, 1974. თარგმნა თინათინ ჯავახიშვილმა.
4. მიხეილ შოლოხოვი, „წყნარი ღონი“. წიგნი III—IV. თბილისი, 1975. თარგმნა თინათინ ჯავახიშვილმა.
5. მიხეილ შოლოხოვი, „გატეხილი ყამირი“. წიგნი I და II, თბილისი, 1972. თარგმანი არისტო ქუმბაძისა.

Т. ЭБАНОИДЗЕ

К ВОПРОСУ О СВЯЗИ «ПОДНЯТОЙ ЦЕЛИНЫ» С «ТИХИМ ДОНОМ»

Резюме

В статье предпринята попытка рассмотреть один частный вопрос творчества М. Шолохова—о связи между героями, ситуациями, местами действия романов „Тихий Дон“ и „Поднятая целина“.

Обращается внимание на отдельные конкретные „коммуникации“, связывающие эти два произведения.

Наблюдения автора статьи чисто „содержательного“ характера и касаются преимущественно персонажей.

T. EBANOIDZE

CONCERNING THE RELATION OF "SOIL UPTURNED" AND "AND QUIET
FLOWS THE DON"

Summary

An attempt is made at considering a particular problem in M. Sholokhov's work, i. e., the relationship between the characters, situations and places of action in the novels "And Quiet Flows the Don" and "Soil Upturned".

Attention is drawn to particular "communications" linking the two novels.

The present observations are of purely "content" nature and are mainly concerned with the personages of the novels.

რომანტიკულისა და რეალისტურის საკითხისათვის ბ. შვეჩენკოს პოეზიაში

რეზაზ ხვედელიძე

შვეჩენკოს პოეზიაში რომანტიკულისა და რეალისტურის შესწავლისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე გაჩენილ ტენდენციებსა და იმ ფაქტორებზე, რამაც დააჩქარა პოეტის მსოფლმხედველობის ევოლუცია. მაგრამ საკითხის ნათელსაყოფად, პირველ ყოვლისა, საჭიროა წინამორბედ უკრაინელ რომანტიკოს პოეტებთან შვეჩენკოს პოეზიის შემხები წერტილების გამოკვეთა თანამედროვე და ისტორიულ სინამდვილესთან მიმართების თვალსაზრისით. ამის შედეგად უფრო საფუძვლიანად გაირკვევა შვეჩენკო უკრაინულ პოეზიაში მოვიდა დამოუკიდებელი შემოქმედებითი მრწამსით, თუ ისიც თავდაპირველად ტიპიურ რომანტიკოსად გვევლინება, რომლის თვალსაზრისის შეცვლა განისაზღვრება საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენათა მკვეთრი ზემოქმედებით.

უბრალო ადამიანის ყოფის, მისი ზნეობის პოეტიზირება, ისტორიულის შერწყმა ფოლკლორულ ფანტასტიკასთან საერთო ნიშანთვისებაა უკრაინული რომანტიზმისა, უპირველესად რომანტიკული ბალადის ჟანრისა. დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ უკრაინაში რომანტიზმი მკვიდრდება ბურლესკური პოეზიის ტრადიციების უკუგდებისა და ლიტერატურაში ხალხურობისათვის ბრძოლის გზით, რაც შეეხება რეალიზმის ელემენტებს, მისი გაჩენა, როგორც სხვაგან, ისე აქაც, უკავშირდება სინამდვილისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. ხოლო რეალიზმის საფუძვლის შექმნა საკუთრივ უკრაინულ ლიტერატურაში უშუალო მიმართებაშია გარდამავალი პერიოდის მწერლობასთან, როცა დომინანტის ადგილი ეკავა ბურლესკურ-ტრავესტულ პოეზიას.

რეალისტური ნაკადი ბურლესკურ-ტრავესტულ პოეზიაში რეალური სინამდვილის უშუალო ასახვასთან არის დაკავშირებული, რაც მას განასხვავებს ძველი უკრაინული ლიტერატურისაგან, რომელიც ან ბიბლიიდან იღებს სიუჟეტებს ანდა მეტნაკლებად უკრაინაში საარწმუნოებრივ-რელიგიური ბრძოლის კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა.

ბურლესკის შემქმნელები შემოქმედებით პრაქტიკაში იყენებდნენ ყოფითი სინამდვილის დეტალებს, სცენებს, რომლებმაც თანდათანობით შეიძინეს იდეური მნიშვნელობა და რეალიზმის საფუძველი შექმნეს. სოციალურ-ესთეტიკური არსით ბურლესკურ-ტრავესტული პოეზია საერთოდ, მართალია, ახლოსაა პოლიტიკურ-სატირულ ლიტერატურასთან, მაგრამ უკრაინაში ის წარმოიშვა როგორც პირდაპირი უარყოფა სასკოლო-რელიგიური დრამატურგიის მოძველებული კანონებისა.

ამ მხრივ, მან თავისი ფუნქცია მართლაც სანიმუშოდ შეასრულა, თუმცა ოციან წლებში მიიწვ დათმო პოზიციები, რადგან, ჯერ ერთი, უკვე არსებული ზოგი უნარი დააქინა (ახალი კი არ შეუქმნია), მეორეც, რაკი ყველაფერი დაუქვემდებარა კომიკურს, ამდენად შეზღუდა, ზოგჯერ უგულვებლყო ადამიანის სულიერი განცდებისადმი სერიოზული დამოკიდებულება და მშვენიერისაკენ მისი მისწრაფების გამოხატვის ტენდენცია.

ბურლესკურ-ტრავესტული პოეზიისა და მის პარალელურად გაჩენილი სატირულ-ყოფითი უნარებისაგან უკრაინულ ლიტერატურაში შემოტანილი რეალიზმის ელემენტები არც სენტიმენტალიზმსა და არც რომანტიზმს თავის საწყის სტადიაში არ განუვითარებია. რომანტიზმმა ფეოდალიზმის წიაღში იგნორირებული ადამიანი ლიტერატურის ცენტრში დააყენა და არსებითი მნიშვნელობა, როგორც ცნობილია, გმირის სუბიექტურ მდგომარეობას მიანიჭა (თუმცა არც „მე“-ს ყოფიერებიდან გასვლა ყოფილა მისთვის უცხო) და არა ობიექტურ კანონზომიერებას ან ცხოვრებისეულ ლოგიკას, რომელიც ადამიანზე, როგორც სოციალურ არსებაზე, ახდენს გავლენას და რაც ამოსავალია რეალისტური ხელოვნებისათვის. ასე რომ, ბურლესკურ-ტრავესტული პოეზიის რეალისტური ნაკადი რომანტიკოსთაგან ფაქტიურად უარყოფილი იქნა. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომანტიზმსა და რეალიზმს საერთო არაფერი აქვთ ერთმანეთთან.

მომავლის უპერსპექტივობისა და უიმედობის მიუხედავად, უკრაინელი რომანტიკოსების შემოქმედება არ არის საზოგადოებრივი შინაარსისაგან დაცლილი. მათთვის ინდივიდუალისტებისაგან განსხვავებით, არც თვალდახუჭული ბულბულივით სტვენა და საკუთარი გალობით ტკბობაა მთავარი, რომანტიზმმა, განსაკუთრებით მისმა აქტიურმა ფრთამ, ხელოვნება საზოგადოებრივ პრობლემებს შეუსისხლხორცა. სწორედ ეს აერთებს მას რეალიზმთან.

უკრაინელი რომანტიკოსების მსოფლმხედველობის მერყეობისა და ეროვნული კულტურის განვითარების შესაძლებლობაზე რწმენის უქონლობის საფუძველი აწმყოს პასიურობაა. მცდარობა მათი კონცეფციისა იმთავითვე ეფუძნებოდა პოზიციის სისუსტეს. ისინი ვერ ჩაწვდნენ საზოგადოების განვითარების შინაგან იმპულსებს და არც უკეთესი მომავლისაკენ გზის ძიება დაუსახავთ მიზნად.

უკრაინულ რომანტიზმში რომანტიკოსებისათვის საერთოდ დამახასიათებელი განწყობილებები შედარებით სრულად წარმოჩნდა ისტორიული თემის დამუშავებისას. მაგრამ, როგორც წესი, აქ ყველგან დარღვეულია ისტორიზმის პრინციპი და წარსულის მოვლენებთან დამოკიდებულებაში აშკარად შეიმჩნევა ვოლუნტარიზმი. ამის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება პ. კულიშის პროზაული თხზულებანი ისტორიულ თემაზე და მ. კოსტომაროვის ისტორიულ-რომანტიკული დრამატურგია, სადაც ქრონოლოგიური მიჯნების დარღვევაზე რომ არაფერი ვთქვათ, საკუთარი მრწამსის მიხედვით არის შეფასებული უკრაინის ისტორიის ეპოქალური მოვლენებიც კი.

ძირითადი დამსახურება უკრაინელი რომანტიკოსებისა იმაშია, რომ მათ პასიური აწმყოს საპირისპიროდ შექმნეს გამათავისუფლებელი ეპოქის რომანტიკული სახეები. ლექსში „ბანდურისტის სიკვდილი“, რომელიც უკიდურესად ნაღვლიანი განწყობილებით გამოირჩევა, ა. მეტლინსკი მისტირის ძველ დიდებას, მწუხარებასთან მიტოვებული მართოსული, მოხეტიალე მომღერალი წარსულზე ოცნებით ცოცხლობს.

პოეტი მოსთქვამს იმის გამო, რომ აღარ აღდგება გეტმანთა მახვილი, სამ-

შობლოს სიყვარული სამუდამოდ დასამარებელია, აბუჩად აგდება და დაცინვა მეფობს ყველგან [1].

წარსულის გაიდევლების მხრივ, ა. მეტლინსკის პოეზიასთან ახლოსაა მ. კოსტომაროვის ლექსები—აღსავსე უსასოებაში გადასული ნაციონალური წუხილით. მართალია, მონარქიული წყობილების საწინააღმდეგო ნოტები აქა-იქ მის შემოქმედებაშიც ისმის, მაგრამ უაღრესად ემპირიულად, კონკრეტული, შინაარსის გარეშე. გმირული ისტორიისადმი მღელვარე დამოკიდებულება განაპირობებს ანალოგიურ მოტივებს ლ. ბოროვიკოვსკის ლირიკაში. მოუწყობელი სინამდვილით ნასაზრდოები რომანტიკული სევდა ამ უკანასკნელის ლექსებში მეტი სიმკვეთრითაა აღბეჭდილი, თუმცა მისი პოეტური იდეალიცა და პოზიტიური გმირიც წარსულში იძებნება.

უშუალოდ თანამედროვეობას რაც შეეხება, პასიურ რომანტიკოსთა პოეტური შეგრძნებანი, გამონაკლისის გარდა, არ გასცილებია თვითმპყრობელობისადმი ლოილობას. ცხადია, მათ მოქმედებაში გზედებით უბრალო ადამიანის მიმართ გულითად თანაგრძნობას, მაგრამ არსებითად ისინი ცდილობენ შეარიგონ მკითხველი სინამდვილესთან, შესაბამისად, ხატავენ რა მას მოძველებულ იდეალებთან შეხმატკბილებულად. ამიტომაც მათთვის უცხო არაა ცარიზმის წინაშე ქედმოხრის ცდა. უფრო მეტიც: ა. მეტლინსკი ხშირად ხაზს უსვამს ხელისუფლების ყურადღებას უკრაინული კულტურისა და სლავიანური პრობლემებისადმი საერთოდ. მეფის სადიდებელ ტირადებს მის შემოქმედებაში ერწმეის საკმაოდ მიაბიჭური მოთხოვნაც გლენჭური დემოკრატიისა.

უკრაინულ რომანტიკოსებისათვის ნიშანდობლივი ეკლექტიზმი შევჩენკოს მოქმედების არც ადრეულ პერიოდში ყოფილა თვალშისაცემი, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის რომანტიკული ილუზიებისაგან თავისუფალი და, ამდენად, სწორად არ აქვს გააზრებული, რა გზით წარიმართება მისი, როგორც ხელოვანის, მომავალი. აქედან გამომდინარე პოემა „გაიდამაკებში“, სადაც ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მან დაუფარავი სიძულვილი გამოხატა, წერდა: „შლიახტა და პლებეი არსებითად მამა და შვილი არისო“ (2).

შევჩენკოს ადრეული პოეზია, შექმნილი პეტერბურგში რომანტიზმის აყვავების ხანაში, ცხადია, ინარჩუნებს ესთეტიკურ კავშირს რუსულსა და პოლონურ ლიტერატურასთან, მაგრამ თემატური თვალსაზრისით წმინდა უკრაინულია. სამშობლოსთან დიდი ხნის განშორების მიუხედავად, მისი ლექსები არის არა ყრმობისდროინდელი უზრუნველ შეგრძნებათა რემინისცენცია, არამედ მოქალაქეობრივი ტკივილებით აღვსილი ადამიანის გულისთქმა. პოეტს საგრძნობლად ეტყობა წინამორბედ რომანტიკოსთა შემოქმედების გავლენის კვალიც, ოღონდ „კობზარის“ ავტორი პირველ რიგში თანამედროვეობის პოეტია, თავისი ხალხის ინტერებით ცოცხლობს და უშუალოდ განიცდის მის სატყეარს. რაც შეეხება თანაგრძნობის ფორმას, იგი ამ ეტაპზე რამდენადმე სენტიმენტალურ-რომანტიკული ელფერისაა. შევჩენკოს, მართალია, ლიტერატურაში შემოაყვას ობოლი და უთვისტომო ადამიანები, მიტოვებული, გაუბედურებული გოგონები, დამწუხრებული დედები, რომელნიც საშინელი სოციალური დანაშაულის პოეტურ სიმბოლოებად წარმოვიდგებოთ [3], მაგრამ სახეთა შექმნის თავისებურებით, საგნებისა და მოვლენებისადმი მღელვარე დამოკიდებულებით, რაც ლირიკულ წიაღსვლებში აირეკლება, ის მინც რომანტიკოსია. რომანტიკული ნაკადის კვალი შევჩენკოსთან განსაკუთრებულად ბალადებსა და პოემა „კატერინაში“ აღბეჭდილი.

ბალადა ტიპიური ჟანრია რომანტიკული პოეზიისა. თემად იღებს ტრაგიკულ სიუჟეტებს, უკავშირდება უბედურ სიყვარულსა და სისხლიან შურისძიებას. ემოციონალობის თვალსაზრისით კი, როგორც ცნობილია, ავითარებს დაღვრემილობისა და მელანქოლიურობის ნოტებს, რომელსაც თან სდევს თხრობის აგუბდათი ლირიკული ტონი.

ცრურწმენაზე ხალხური თქმულებების სესხებით და ფანტასტიკური ელემენტის შემოტანით ბალადა „შეშლილში“ შევჩენკო აგრძელებს უკრაინული რომანტიკული პოეზიის ტრადიციებს, ხოლო ბალადა „ვერხში“, სადაც განვითარებულია ზოგადადამიანური მოტივი სიყვარულის ყოველსშემძლე ძალასა და მით გამოწვეულ მწუხარებაზე, არარეალური მხოლოდ გოგონას ვერხვად გადაქცევაა, პერსონაჟსა და გარემოს შორის კონფლიქტი კი შორსაა რომანტიკული მისტიკისაგან. ფანტასტიკური ელემენტი საკმაოდაა ბალადა „დამხრჩვალში“. თუმცა ქვრივი ქალის სახე აქ გახსნილია სოციალურ-ყოფით ასპექტში. თხრობის სპეციფიკით ეს ბალადა ლირიკულ-ეპიკურ პოემას უახლოვდება.

შევჩენკოს ბალადები, ამ ჟანრში საერთო ლიტერატურულ ტრადიციებთან კავშირის მიუხედავად, მომდინარეობს არა ლიტერატურული წყაროდან, არამედ უკრაინული ფოლკლორიდან. პოეტი ტიპიური რომანტიკული ფორმით გადმოსცემს რეალურად არსებულის შინაარსს. დამოუკიდებელია ის ბალადის სიუჟეტის დამუშავების თვალსაზრისითაც. მის ბალადებში არ არის ვამპირი, არც მისი სახიერი გაგება, თუმცა შევჩენკო აღიზარდა რომანტიზმის ციებცხელების ხანაში, „ამ უკანასკნელს კი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ბოროტი სულის გარეშე“ [4].

შევჩენკოს ნათელი და კაცთმოყვარე ბუნება ზურგს აქცევს ადამიანის მიმართ ყოველგვარ სიძულვილს და ცდილობს თავი აარიდოს სიყვარულის ტრაგედიას, ნღველსა და მწუხარებას. გოგონას ვერხვად გადაქცევა სატრფიალო გრძნობის დასასრულს კი არ მოასწავებს, არამედ მის გაგრძელებას ყოფიერების სიმბოლური ფორმით. ეს არის ორიგინალური შევჩენკოსთან. გარკვეული თავისთავადობა საერთოდ მისი ბალადებისა იმაშიცაა, რომ აქ პოეტის განცდას რეალიზმისათვის ნიშანდობლივი კონკრეტულობა ახასიათებს. ამიტომ ისინი მკითხველში ტრაგიკულის ზოგადგანცდისმაგვარ ასოციაციებს კი არ იწვევენ, არამედ ტიპიური ცხოვრებისეული ტრაგედიისას. სწორედ ეს შტრიხი არის შევჩენკოს ბალადებში რეალისტური, მაგრამ, ცხადია, არ შეიძლება იმის დაფიქსება, რომ ჯადოსნური სამყარო ფაქტიურად აქაც დამღუპველად მოქმედებს გამიჯნურებულთა ბედზე. ამის მიუხედავად, მათ ტრაგიკულ ხვედრს მაინც არაფერი აქვს საერთო მისტიკურის ქადაგებასთან, რაც უცხო არ ყოფილა მ. კოსტომაროვისა და პ. კულიშისათვის.

რეალისტური შინაარსი შედარებით გამოკვეთილია პოემა „კატერინაში“. ნაწარმოებისათვის შევჩენკო სიუჟეტად ჩვეულებრივ ყოფით ამბავს იღებს. ოფიცრისაგან შეცდენილი, შემდეგ მიტოვებული კატერინას უბედურების მიზეზი ჩადენილი „ცოდვისათვის“ ახლობელთა მკაცრი გულისწყრომისა და არა ჯადოსნური სამყაროსადმი გულუბრყვილო მინდობა. პოემაში რომანტიკულია შინაარსის გადმოცემა. ემოციურობით ის ახლოსაა რომანტიზმის პოეტიკასთან, ხოლო ლირიკულ-ეპიკური ფორმით რომანტიკული პოემის ჟანრს განეკუთვნება. ეპიურ თხრობას შენაცვლებულ ლირიკულ წიადსვლებში ჩანს პოეტის განსაკუთრებული დაინტერესება ყოფითი მოვლენებით, სევდიანი განწყობილება და სუსტის შეუბრალებლობის წინააღმდეგ პროტესტი. აწმყოს ამგვარი აღქმით შევჩენკო სავსებით გაემიჯნა წინამორბედ რომანტიკოსთა სერვილიზმს. მის პოეზიაში თანამედროვეობის

მიმართ კომპრომისზე წასვლის ნიშანწყალიც კი არაა. პოეტის გულისტკივილს განსაზღვრავს არა წარსულ დიდებზე ამო გოდება, არამედ მისი დროის ადამიანის ყოველდღიური ყოფით შემოსაზღვრულობა და ინდიფერენტულობა. მართალია, ის ჯერ კიდევ ვერ პოულობს არსებული სინამდვილისაგან თავდაღწევის გზას, მაგრამ ღრმა მწუხარებასა და პროტესტში იგრძნობა გაუცნობიერებელი ფიქრი მომავალზე, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს ხალხის პოტენციური ძალის ძიების საკითხიც. ამ კითხვას პოეტი მიჰყავს გამათავისუფლებელი ბრძოლის ეპოქამდე, სადაც უკრაინელი ხალხის ენერგიამ განსაკუთრებულად იჩინა თავი, სხვა რომანტიკოსების შემოქმედებაში უკრაინის წარსული და აწმყო ერთმანეთისაგან გაითიშა. წარსულზე ქვითინით ისინი თანამედროვეებში ნაღველსა და უიმედობას ნერგავდნენ, შეფჩენკომ კი პოემა „გაიდამაკებით“ მწარე სინამდვილეს წარსულის ჰეროიკა დაუპირისპირა და ამით ხალხის სოციალური და ეროვნული შეგნების გაღვივება სცადა.

„გაიდამაკებში“ პოეტმა რეალისტურად დახატა ეპოქის ლაშქრობათა საერთო ხასიათი, კოლორიტი, გაიდამაკური მოძრაობის ობიექტური მიზეზები, უკრაინისადმი პოლონელ ფეოდალთა დამოკიდებულების მტაცებლური ხასიათი სატირული თვალსაზრით წარმოგვიდგინა. გლეხობისა და კაზაკობის მიერ ბრძოლებში გამოვლენილი კოლოსალური ენერგია მას საფუძველს აძლევს იმედით შეხედოს მომავალს. ამიტომ იქ, სადაც წარსულსა და მყოფადის საკითხს ეხება პოეტი, მისი სიტყვა ბრძოლის წყურვილით ივსება:

იცინე, ვერაგო მტერო,
 მაგრამ ბევრს ნუ იცინებ, რადგან ყოველივე დაიღუპება,
 გარდა სიტყვისა,
 სიტყვისა, რომელიც უამბობს ყველას
 რა ხდებოდა ამ ქვეყნად
 ვისი იყო სიმართლე და, ვისი—უსამართლობა
 ან ვისი შვილები ვართ ჩვენ [1]

გაიდამაკური მოძრაობის ბოლო პერიოდი შეფჩენკომ მკვდრეთით აღადგინა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში გლეხობის ფართო ეროვნულსა და სოციალურ მოძრაობას ხედავდა, ამავე დროს წარსულის გაცოცხლებით სურდა მკითხველი თანამედროვეობაზე დაეფიქრებინა:

სიმართლე არ არის, ვერ ისარა,
 უსამართლობა მეფობს [1].

მიუხედავად ამისა, ისტორიულ პიროვნებათა დახატვისას შეფჩენკოსათვის ამოსავალი რომანტიკული თვალსაზრისია. ისტორიულად გაიდამაკური ბრძოლის მეთაურები პოემაში უკანა პლანზე დგანან და ზოგი ისეთი რამ მიეწერებათ, რასაც ადგილი არ ჰქონია, მთავარ პერსონაჟად კი პოეტს შემოჰყავს ფანტაზიით შექმნილი, ხალხის შვილი, იარომა ვალაიდა. პოემაში, მართალია, საკმაოდაა მძაფრი კოლიზიები, გმირების მოქმედებაში—არაჩვეულებრივი, ამალღებული, ჰიპერბოლური, მაგრამ ისინი მიწიერ სინამდვილეს მოწყვეტილი მაინც არ არიან, რაც ადასტურებს მწერლის უტყუარ დამოკიდებულებას ისტორიული პროცესის კანონზომიერებისადმი.

თუ „გაიდამაკებში“, „გამალიასა“ და „ივანე პიდკოვაში“ შეფჩენკო მაინც ვერ ასცდა ისტორიულ შემოსაზღვრულობას და გეტმანური უკრაინა ასე თუ ისე გააიდუალა, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. კერძოდ, ჯერ ერთი ახალგაზრდა პოეტს არ შეეძლო ისტორიის პროცესში პიროვნების როლის ობიექტურად წვდომა;

მეორეც—მეცნიერულად დაუმუშავებელი წყაროები და ხალხური თქმულებები, რომელთაც ის ეყრდნობა, არ ქმნიდა გამათავისუფლებელი ბრძოლების ზუსტ სურათს. ამდენად ისტორიულ წარსულთან შევჩენკოს მიმართების ხასიათი მეტ-ნაკლებად უკავშირდება საერთო რომანტიკულ ტენდენციებს. მაგრამ გამათავისუფლებელი ეპოქის გაიდებულებასა და ისტორიის მოვლენათა ერთგვარ შელამაზებაში, განსხვავებით პასიურ რომანტიკოსთაგან, მაინც არ ზანს წარსულის ეგზოტიკის ჩვენების ცდა. ამასთანავე მისი პოეზიის საერთო დემოკრატიული თემატიკაც ადასტურებს, რომ მოვლენათა შეფასებისას რეალისტის სიფხიზლე პოეტს არც ამ ეტაპზე აკლდა. რომანტიკული პოემების მხატვრულ სახეთა სიახლოვე მიწიერ სინამდვილესთან და მოვლენათა ობიექტური განსჯისაკენ მისწრაფება ცხადყოფს იმასაც, რომ რეალისტური მეთოდისათვის შევჩენკო შინაგანად იმთავითვე მომზადებული იყო.

პოეტის რომანტიკული ილუზიები გაქრა, როცა თოთხმეტი წლის განშორების შემდეგ (1843 წ.) პეტერბურგიდან უკრაინაში დაბრუნდა. ათი თვის მანძილზე უბრალო ხალხის ცხოვრების გაცნობამ მწუხარება გაუთავიკა მას. „მე ვიყავი უკრაინაში, ვიმოგზაურე და ვტიროდი და მხოლოდ ვტიროდი ყველგან“ — [6] წერდა შევჩენკო მეგობარს. სწორედ აქედან იწყება მის შემოქმედებაში ძიება მიზეზებისა, რამაც უკრაინელი ხალხი ეროვნულსა და სოციალურ უბედურებადღე მიიყვანა. ის უკვე ობიექტურად აფასებს ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების მოვლენებს, დამოუკიდებლობისათვის საუკუნოვან ბრძოლას, რომელმაც თავისუფლების ნაცვლად მონობა მოუტანა მის ხალხს. მაგრამ სინამდვილის მხოლოდ ნეგატიური შთაბეჭდილებების მიჩნევა შევჩენკოს მსოფლმხედველობის მკვეთრად შეცვლის ერთადერთ მიზეზად, მიუხედავად იმისა, რომ ამას ზოგი მკვლევარი საგანგებოდ განხაზავს, არ იქნება სწორი. პეტერბურგში მყოფი პოეტი არ შეიძლებოდა შორს ყოფილიყო რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში დაწყებული პროგრესული მოძრაობისაგან. ეს ახალი ტალღა ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომწიფდა ევროპაში. 40-იანი წლებიდან ფრანგული რომანტიკული სკოლა წმინდა ესთეტიკური რადიკალიზმიდან გადავიდა პოლიტიკურსა და რელიგიურ რადიკალიზმზე (პიუგო, ლიამენე) [7]. რომანტიკოსთა თვალწინ, მათი უშუალო გავლენის შედეგად, იქნება სრულიად ახალი მიმდინარეობა. ამავე ხანაში ბალზაკი, ხოლო უფრო ადრე სტენდალი—ქმნიან რეალიზმის ახალ საფუძველს. ევროპის სულიერი მოძრაობის ეს ტალღა რტაცებს რუსეთის ცნობილ ადამიანებს, მათ შორის შევჩენკოსაც, მით უმეტეს „გლახობისადმი სიმპათია აღრევე ეწეოდა მას ამ მხრით“ [7]. ამიტომაც სრულიადაც არ არის გესაკვირი, რომ ახალი იდეისა და უკრაინაში მიღებული შთაბეჭდილებათა გავლენით მალე ხუნდება პოეტის კაზაკური იდეალები და მის პოეზიაში ჩნდება თანაგრძნობა ეროვნული და სოციალური უსამართლობით ჩაგრული ყველა ხალხისადმი.

„გაიღამაკები“, შეიძლება ითქვას, გაუცნობიერებელი ნაბიჯი იყო ამ გზაზე. ბუნდოვანი დასასრული პოემისა, გაუბედაობა და ერთგვარი დაეჭვებაც სისხლისღერის საშინელი სცენებისა და ბრძოლების აღწერისას, იდეალის ძიებაზე მიუთითებს [7].

ისტორიის ობიექტური შემეცნების შედეგად შევჩენკოს შემოქმედებაში დაიკარგა ძველკაზაკური პატრიოტიზმი. 40-იანი წლებიდან სამშობლოს სიყვარული ეყრდნობა არა გეტმანის კვერთხს, არამედ ადამიანთა ძმობის სურვილს. თანადროული სინამდვილის ანალიზს პოეტი მიჰყავს ცარისტულ-ბატონყმური წყობილების უარყოფამდე და ეროვნული თავისუფლების იდეამდე.

ეროვნული პრობლემებით დაინტერესებაში, მართალია, პრიორიტეტი რომანტიკოსებს ეკუთვნით, მაგრამ რეალისტები უფრო ღრმად ჩასწვდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, სწორად შეაფასეს მყობადის ხასიათი და, რაკი ფხიზელი პოლიტიკოსებიც იყვნენ, უფრო ჭკვიანურად განჭვრიტეს სიტყვიერი ხელოვნების ბრძოლის ვეზები.

შევჩენკოს მსოფლმხედველობაში რეალიზმის პრინციპები მხატვრულ ნაწარმოებთა პარალელურად მკვიდრდება თეორიულ-კრიტიკულ წვრილებშიც. თუ რეალიზმი მთაზრებული იდეალური სინამდვილიდან ცხოვრებისეული რეალობისაკენ დაბრუნებაა, რასაც ბელინსკი ხაზგასმით აღნიშნავს, მაშინ ასახვის რეალისტური გზა თავისთავად რეალობის ნეგატიურ მხარეთა წარმოჩენასაც ითვალისწინებს. სიტყვიერი ხელოვნების ამგვარ დაწინაურლებას ეხება შევჩენკო „სამი წლის“ ციკლის შესავალში; „ხელოვნება ვალდებულია არსებობდეს არა ხალხის ბედზე აცრემლებული, არამედ უნდა აღივსოს რისხვითა და ზიზღით ჩავვრისა და უსამართლობის მიმართ, აღივსოს თავისუფლებისაკენ, ბრძოლისაკენ მოწოდებით [6]. ამ თვალსაზრისით, შეიძლება საპროგრამოდ ჩათვალოს გამოსაცემად მომზადებული, მაგრამ განუხორციელებელი, „კომზარის“ პუბლიცისტური შესავალი, სადაც ცენტრალურ საკითხად ლიტერატურის ხალხურობის საკითხი დგას. შევჩენკო ავითარებს იმ აზრს, რომ ხელოვნებაში ხალხურობა გულისხმობს არა გარეგან მსგავსებას ხალხურ-ადათობრივ სიმართლესთან, არამედ ხალხის სულის სიღრმით წარმოსახვას. „ხალხის ცხოვრების ჩვენება ნიშნავს, აღიქვა მისი ფიქრები, სიმღერები, მოუსმინო და გულისყურით შეიგრძნო, როგორ იგონებენ წარსულს და ტირიან თითქოს მართლაც თურქების ტყვეობაში არიან, ან როგორ ატლარუნებენ ბორკილებს პოლონელ მაგნატთა უღელქვევში“ [6]. ეს თვალსაზრისი არის ამოსავალი შევჩენკოსათვის მეცხრამეტე საუკუნის უკრაინული ლიტერატურის შეფასებისას. მან სწორად შეამჩნია მწერლობაში სხვაობა უბრალო ადამიანის მიმართ თანაგრძობის გამოვლენაში და ხაზი გაუსვა რა მწერლების სოციალური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე მერყეობას, აღნიშნა: „ჩვენი გლეხის თვალი სხვანაირად აღიბეჭდა პ. კვიტკა-ოსნოვიანეკოსა და პ. გულაკ-არტემოვსკის შემოქმედებაში“.

ხელოვნებისაგან პოეტი მოითხოვს ადამიანის ხასიათის ჩვენებას სოციალურ გარემოსთან კავშირში. მოგვიანებით მან მოთხოვნა „ტყუპებში“ მხატვრული ექსპერიმენტით მოგვცა ამ მოსაზრების ილუსტრირება, გვიჩვენა რა ბედი ორი ჰერსონაჟისა, რომელთა ქცევასა და შეხედულებას აღზრდის სოციალური პირობები განსაზღვრავს.

თანამედროვეობაზე დამკვირვებელი პოეტის შეგნებაში რომანტიკული გატაცებანი უკვე ადგილს უთმობენ სინამდვილის ფართო განსჯას. ბატონყმური ცხოვრების გაცნობიერება ამკვეთრებს ჩავრულისადმი პოეტის თანაგრძობას და პრივილეგირებული კლასის დახასიათებისას ის სატირასა და ირონიას მიმართავს. სატირული პოეტის ადრეულ ლექსებშიც საკმაოდ იყო. მაგრამ, ამ მხრივ სრულიად ახალ ეტაპს ქმნიან პოემები „სიზმარი“ და „კავკასია“. დამონებული ხალხის ოპოზიციური სული და გლეხობისადმი პოეტის სიმპათია განდა მიზეზი მისი უმაგალითო ძალის პროტესტისა. შევჩენკოს თანაგრძობა, მართალია, პირველ რიგში უკრაინას ეკუთვნის, მაგრამ მას საერთო ვითარებაც აწუხებს შექმნილი „ბნელოთის სამეფოში“ სადაც „მოლდავეთიდან ფინეთამდე ყველა ენაზე დადუმებულია ყველა“ [2]. ეს ყრუ, მკვდარი დუმილი არის მთავარი ნიშანთვისება არსებული სინამდვილისა. ადამიანური გრძობის დაჩლუნგების ყამს რა უნდა აკეთოს ხელოვანმა? პოეტი ცდილობს ჩაიხშოს მწუხარება. მისი ტრაგედია ირონიულ სტირიკო-



ქართული
წიგნიერება

ნებში ჩანს: „მე ვსეირნობ, ვქეიფობ უქმე და სამუშაო დღეს [2]. პოეტი თითქოს გარიღებია ადამიანის უბედურებას, ერთი შეხედვით, თითქოს არც განიცდის მის დარღსა და ჩივილს, თუმცა პოემაში დახატული ვითარების მძიმე სურათი საკმარისად ცხადყოფს, რომ მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა კენესის დიდი ჰუმანისტის გული. სატირის განსაკუთრებული ძალა იგრძნობა „სიზმრის“ მესამე ნაწილში, რომელიც ალევორია პეტერბურგის ცხოვრებისა. აქ ირონია, შერწყმული ბურლესკის ელემენტებთან, გამანადგურებელ სარკაზმში გადადის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რუსი ბატონები პოემაში ლოთებად და ტირანებად არიან წარმოდგენილი, სინამდვილის წარმოსახვის გზა რეალისტური მეთოდისაგან გარკვეულად მაინც განსხვავებულია. ეს უფრო მოფიქრებული ზოგადი პლანია ყოფისა, ვიდრე ცხოვრების კონკრეტული დეტალების შეუღლამაზებელი სურათი. ამის მიზეზი ისაა, რომ 40-იანი წლებში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დამკვიდრებული ხელოვნებაში ასახვის რეალისტური ფორმები, თორემ შეეჩვენოს შეეძლო დაეხატა ყოველდღიური ცხოვრება, მისი ერთი შეხედვით, წვრილმანი დეტალებით, რომლებიც ცალ-ცალკე იქნებ ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ მთლიანობაში წარმოაჩენენ უბრალო ადამიანისათვის აუტანელ ვითარებას. პოეტი ერთეული ადამიანის ან სოციალური ჯგუფის მძიმე ცხოვრების მაგალითით კი არ მიგვანიშნებს სინამდვილის საერთო უარყოფით მხარეებზე, არამედ ქმნის სისტემის მწვავეკრიტიკულ, მაგრამ ამავე დროს „უნივერსალურ“ სურათს [3].

რეალიზმი სინამდვილის „გარეგანი ნიშნების ფარგლებში“ [9] რჩება. შეეჩვენოს პოემებში ყურადღება ექცევა გარეგან ნიშანთა გამოხატვას, თუმცა ამ ნიშნების თავისებურებები განსაზღვრავს მის სოციალურ ტიპილს, პოეტი ჰვრეტს სინამდვილეს მთლიანობაში, რომ მთელის ზუსტი სახე მოგვცეს. აქედან გამომდინარე დასახელებულ პოემებში სინამდვილე ზოგადად მოაზრებულად წარმოდგება, მისი უარყოფითი მხარეების ზოგადად ჩვენებით. ამას ადასტურებს ისიც, რომ ამ პოემებში პერსონაჟი, როგორც ასეთი, ფაქტიურად არ არის.

სინამდვილის არსის აბსოლუტური სურათის ჩვენება და პოემა „სიზმარში“ გეტმან პოლუბოტკოს გაიდელელება ერთგვარად რეალიზმიდან გადახრაზე შეიძლება მიუთითებდეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ აქ სწორედ არის მიგნებული სინამდვილის კრიტიკის რეალისტური ხერხები.

შეეჩვენოს დროინდელი ლიტერატურული კრიტიკა ორი ტიპის რეალისტს გამოჰყოფს: ერთი, რომელიც სუბიექტური ჩარევის გარეშე აღწერს სინამდვილეს (ვოვჩოკი), მეორე—ობიექტურის ასახვისას წინ წამოსწევს ლირიკულ გრძობებს. შეეჩვენოს რეალისტთა მეორე კატეგორიას ეკუთვნის, „რაც ანათესავენს მას გოგოლთან“ I [10].

შემოქმედების მეორე ეტაპზე ყოფის ობიექტური სურათის გადმოსაცემად ის ეპიურ ფორმასაც იყენებს, უპირატესად პროზაში, მაგრამ შეეჩვენოს—რეალისტისათვის არსებითი მაინც თხრობის მრავალფეროვნებაა. მისი პოეტური მეტყველება სავესეა ცოცხალი დიალოგით, სადაც ადგილობრივი კილოს თავისებურება ქმნის პერსონაჟთა სოციალურ-ფსიქოლოგიურ დიფერენციაციას, კონტრასტებით მომაჯადოებელ პეიზაჟსა და მონურ ყოფას შორის; რიტორიკული შეძახილებით, ირონიული კომენტარითა და ძველი სლავური, რომელიც ირონიულის ან კომიკურის ფუნქციით გამოიყენება.

ლიტერატურა

1. Українські поети-романтики 20—40 років XIX ст., Дніпро. К., 1968.
2. Т. Г. Шевченко, Кобзарь, Дер. вид, худ. літератури, К., 1968.
3. Е. С. Шаблиовский, Народ і слово Шевченко, К., 1961.
4. И. Я. Франко, Тополя Шевченко, із кн. „Світова велич Шевченко“. К., 1964.
5. Історія української літератури у 8 томах, т. 3, К., 1968.
6. Т. Г. Шевченко, Повне зібрання творів у шести томах, т. 6.
7. И. Я. Франко, Темне царство, із кн. „Світова велич Шевченко“, К., 1964.
8. И. Г. Неупокоева, Революционно-романтическая поэма первой половины XIX века. Опыт типологии жанра, М., 1971.
9. А. Давид-Соважо, Реализм и натурализм в литературе и в искусстве, М., 1891.
10. Н. Е. Крутикова, Русский реализм и становление украинской реалистической прозы XI ст. К., 1969.

Р. ХВЕДЕЛИДZE

К ВОПРОСУ О РОМАНТИЧЕСКОМ И РЕАЛИСТИЧЕСКОМ
В ПОЭЗИИ Т. ШЕВЧЕНКО

Резюме

Реалистическая тенденция в поэзии Шевченко-романтика проявляется, с одной стороны, в близости романтических образов к живой действительности, и с другой,—в исключительном интересе к объективным явлениям. Крушение романтических иллюзий вообще и объективная оценка конкретных явлений современной ему жизни Украины и ее истории обусловлены обостренным ощущением тяжелого социального и национального положения народа.

Хотя следует отметить, что в цикле „Три лета“, положившему начало радикальному изменению мировоззрения писателя и совершенно отличавшемуся от ранее опубликованных произведений, найдены только реалистические приемы критики действительности, но не характерные особенности отражения, присущие реалистическому методу.


V. KHVEDELIDZE

CONCERNING THE ROMANTIC AND REALISTIC IN T. SHEVCHENKO'S POETRY

Summary

The realistic tendencies of Shevchenko the romanticist is above all seen in the down-to-earthness of his romantic characters, whereas his stand of an objective observer suggests that he was, from the beginning, prepared for the realistic method. However, notwithstanding a correct perception of the laws of development of his contemporary and historical epochs Shevchenko's realism at the early stage was unconscious.

The author examines the problem from the angle of the formal characteristics of Shevchenko's realism in general, as well as in the poet's early developmental stage and after becoming the leader of critical realism in the Ukrainean literature.



„ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ატრიბუციისათვის*

I

ბეჰან კილანავა

ილარიონ ქართველი ეროვნულ მოღვაწეთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც ისტორიამ ქრისტიანული სამყაროს არენაზე ერის დიდების გატანა დააკისრა. ილარიონმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს მისია: IX საუკუნის ბიზანტიაში ქართველთა კულტურულ-სარწმუნოებრივი ღირსება მისი ყოელისმომცველი მოღვაწეობითაც განისაზღვრა და შეფასდა კიდევც.

„ცხოვრებად და მოქალაქობად წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ“ ამ სახელოვანი კაცის მიერ თავისი ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლის მხატვრული მატანება.

თხზულებამ ჩვენამდე ოთხი რედაქციით მოაღწია: ვრცელი ათონური, მოკლე ათონური, მეტაფრასული და სვინაქსარული. ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებით იგი საპატიო ადგილს იჭერს აგიოგრაფიის ისტორიაში, ხოლო როგორც საისტორიო წყარო — შესამჩნევად სცილდება ლოკალურ სფეროს და ზოგად-ბიზანტიურ მნიშვნელობას იძენს ([1], 56). ამის გამოც ძველი გასული საუკუნიდანვე მოექცა მეცნიერთა ყურადღების სფეროში (ა. მურავიოვი, მ. ბროსე, მ. საბინინი, პ. მარტინოვი, პ. პეტერსი...). მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ხნის მანძილზე მასზე მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი დაიწერა, რომელთაც ჭეშმარიტად მეცნიერული ღირებულება აქვთ (კ. კეკელიძე, ე. გაბიაშვილი). ამიტომაც „ცხოვრების“ ზოგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი კვლავ საგანგებო დაკვირვების საგნად რჩება და გადაწყვეტას მოითხოვს.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას უწინარესად თხზულების ატრიბუციაზე შევაჩერებთ. ჩვენი არჩევანი განპირობებულია საკვლევი ობიექტის აქტუალობით. კერძოდ, „ცხოვრების“ ატრიბუციის რაგვარობაზე იყო და არის დამოკიდებული იმ დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტის გარკვევა, თუ რომელი ერის მწერლობას განეკუთვნება თვით თხზულება — ქართულს თუ ბერძნულს? საეჭვო საფუძველზე აღმოცენებული ეს ტრადიციული კითხვა დღესაც ძალაშია იმ ანგარიშგასაწევი მოსაზრებით, რომ მეცნიერებას მასზე ორი თითქმის ურთიერთგამომრიცხავი პასუხი მოუპოვება. მისადმი ჩვენი ინტერესი ამ მხრივაც იზრდება. ამასთანავე ტრადიციას არ ვარღვევთ იმ შეგნებით, რომ საკვლევად აღებული კონკრეტული პრობლემა, უმთავრესად ძველის თავისებური სტრუქტურის გამო, მოიცავს რედაქციათა კომპლექსური შესწავლის საჭიროებას მათი წარმომავლობის თვალსაზრისით.

* წინამდებარე წერილში არაა გათვალისწინებული მ. დოლაქიძისა და ი. ლოლაშვილის ბოლო ხანებში გამოქვეყნებული შრომები. მათ შესახებ სპეციალურად სხვა დროს გვექნება მსჯელობა.

დასმული პრობლემა სხვადასხვა დროს განსხვავებულ ასპექტში განიხილებოდა. ათონის 1074 წლის აღაპებიანი ხელნაწერი კრებულის გამოქვეყნებამდე (1901) მეცნიერთა ინტერესის სფეროში მოექცა მეტაფრასული რედაქცია თხზულებისა, ამდენად, მისი ავტორის ვინაობის დადგენა იმდროისათვის საზოგადოდ პრობლემის გადაჭრასაც გულისხმობდა, ასეთ პირობებში გადაწყვეტი როლი ითამაშა „ცხოვრების“ შემცველი ერთი (თეიმურაზ ბატონიშვილისეული) ხელნაწერის შენიშვნამ: „ამბობენ, რომ ეს ცხოვრება დაიწერა ბერძნულად, ბასილი იმპერატორის ბრძანებით, ბასილი მონაზონის მიერ, ხოლო ქართულად თარგმნა თეოფილემო“ ([2], 142).

მ. ბროსესგან გაზიარებული ამ შენიშვნის ([3], 273) საფუძველზე მ. საბინინმა ავტორისა და მთარგმნელის ზოგი ბიოგრაფიული დეტალის დადგენაც კი სცადა: ბასილი ილარიონის მოწაფედ მიიჩნია, ხოლო მთარგმნელი თეოფილე— დავით აღმაშენებლის თანამედროვე ტარსუს მიტროპოლიტად ([4], 105). ქ. ლოპარემა ქართული ტექსტის თარგმანი „ბერძნულ ცხოვრებათა“ (იგივე „ბიზანტიურ ცხოვრებათა“) სერიაში მოათავსა და რუს მკითხველს გააცნო როგორც ბიზანტიური (ბერძნული) ლიტერატურის უტყუარი კუთვნილება, მასთან საზოგადოდ ქართული წვლილი წმინდანის ცხოვრების აღწერაში ილარიონის ერთ-ერთი მოწაფის—ისაკის ინფორმატორული როლით განისაზღვრა: „После кончины учителя Исаак вернулся в Константинополь, где и сообщил биографические сведения о святом агиографу Василию“ ([5], 59).

კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავებულ თვალსაზრისის მრავალი გაუგებრობა ახლდა. უწინარეს ყოვლისა გაუთვალისწინებელი დარჩა ხელნაწერის შენიშვნის რაობა; იგი ამჟამად გვიანდელია და დასმულ პრობლემაზეც გადაწყვეტით არაფერს ამბობს. სხვა დროსაც დაგვირდებოდა იმ აზრის განმეორება, რომ კომენტატორი, ვინც არ უნდა იყოს იგი, კარგად იცნობს თხზულების მეტაფრასულ რედაქციას (მისი შენიშვნა სწორედ მას ეხება!), მაგრამ ამ უკანასკნელში იგი ვერ პოულობს ისეთ ცნობას, რომელიც რამენაირად მაინც არკვევდეს ავტორის ან მთარგმნელის ვინაობას. ამდენად, შენიშვნა საკუთრივ ტექსტის გაგებიდან არ გამოდინარეობს, ყოველშემთხვევაში აქ არსად არაა ნახსენები ვინმე თეოფილე— მთარგმნელი ბერძნული ენიდან. ხოლო ბასილ მონაზონი მეტაფრასული რედაქციის ისეთ კონტექსტშია ნაჩვენები, რომ, ჩანს, იგი კომენტატორს ოდნავადაც არ აძლევდა საფუძველს მსგავსი დასკვნის გამოსატანად. ამიტომაც იმეორებს შენიშვნის ავტორი სხვათა ნათქვამს, წერილობითს ან ზეპირ გადმოცემას: „ამბობენ... თეოფილემო“, ამას გარდა, ხაზგასმით უნდა ითქვას, თხზულების არცერთ რედაქციაში ბასილ მონაზონი არაა გამოყვანილი ილარიონ ქართველის მოწაფედ; იგი არც იგულისხმება მათ რიგში. დაუსაბუთებელია აზრი, თითქოს ისაკი მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ მაინცდამაინც კონსტანტინოპოლში მობრუნებულიყოს და აქ ბასილ მონაზონისათვის მოეთხროს ბიოგრაფიული დეტალები წმინდანის ცხოვრებიდან; მსგავსი ვითარება არც ერთ რედაქციაში არ დასტურდება. როგორც შემდეგ გაირკვა ([2], 147—148), თეოფილე ტარსუს მიტროპოლიტიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო „ცხოვრების“ მთარგმნელი ბერძნული ენიდან.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა თვალსაზრისმა რამდენადმე მაინც განსაზღვრა კვლევის შემდგომი ეტაპი საზოგადოდ, განსაკუთრებით კი მის დასაწყისში, თუმცა მათ შორის არსებითი ხასიათის სხვაობაც შეიმჩნევა. კვლევის ახალი ეტაპი კი მაშინ დაიწყო, როცა თეოფილეს ერთდროულად ჩამოერთვა ტარსუს მიტროპოლიტისა და მთარგმნელის პატივი და მისი ადგილი დროებით ვინმე „უღირსმა“

ზოსიმემ დაიჭირა ([6], XXI—XXIII); ([7], 77—78). ამ თვალსაზრისში უკუ-
იფინა უნდობლობა სადავო შენიშვნის ჩვენებისადმი. საკითხის
მეორე მხარეა ის გარემოება, რომ ახალ შეხედულებას მეცნიერული დასაბუთება
აკლდა, რაც ათონის აღაპებიანი კრებულის რედაქციულ თავისებურებათა გაუთვ-
ლისწინებლობით იყო გამოწვეული. კერძოდ, მართალია, „უღირს“ ზოსიმეს
ეკუთვნის ილარიონის სახელზე დაწერილი საგალობელი და ეს დადასტურებულია
მისივე ანდერძით ([8], 186), მაგრამ ათონის კრებულში არასად არაა ნათქვამი,
რომ მის ეთარგმნოს, გადმოწეროს ან კრებულში შეეტანოს „ილარიონ ქართვე-
ლის ცხოვრება“. მეტიც; „ცხოვრება“ არც ყოფილა შეტანილი კრებულის თავდა-
პირველ რედაქციაში, რომელიც 1074 წელს შედგა და რომელშიც ზოსიმეს საგა-
ლობელი შევიდა ([8], 177—186). ამაზე გარკვევით მიუთითებს მიქელ დალალო-
ნისელის ანდერძი, სადაც ჩამოთვლილია კრებულის თავდაპირველ რედაქციაში, შე-
სული ძეგლები ([8], 175—176). აქ „ილარიონ ქართველის ცხოვრება“ არცაა
ნახსენები; იგი შემდეგ შეუტანიათ კრებულში, კერძოდ, XII საუკუნის 40-იან
წლებამდე ([9], 196—217).

დროთა ვითარებაში კ. კეკელიძემ გაიმეორა აზრი, რომ თეოფილე ტარსუს
მიტროპოლიტს არავითარი წვლილი არ მიუძღვის „ცხოვრების“ თარგმანში, ამას-
თანავე მკვლევარმა ვადასინჯა თავისი ადრინდელი შეხედულებანი და ზოსიმეს ად-
გილზე წარსულში კარგად ცნობილი თეოფილე ხუცეს-მონაზონი წამოაყენა იმ
არსებითი სხვაობით, რომ ეს უკანასკნელი „ცხოვრების“ ბერძნული ენიდან მთარგ-
მნელი კი არ ყოფილა, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ მას შეუთხზავს ვრცელი
ათონური ტექსტის მეტაფრასული რედაქცია ([2], 147—149)-

გარდა იმისა, რომ ამ თვალსაზრისშიც თავისებურად უკუიფი-
ნა უნდობლობა შენიშვნის ჩვენებისადმი, მან შედარებით ახალ ას-
პექტში დასვა და ასევე შედარებით ახლებურად გადაჭრა თხზულების ატრიბუცი-
ის პრობლემა. კერძოდ, როცა მოიხსნა თეოფილეს, როგორც მთარგმნელის, კან-
დიდატურა, კ. კეკელიძის წინაშე დაისვა საკითხი: რას წარმოადგენს თვით ვრცე-
ლი ათონური რედაქცია და ვინაა მისი ავტორი თუ მთარგმნელი?

ვრცელი ათონური რედაქციის დასასრულში თითქოს გარკვევითაა ნათქვამი:
„ხოლო ბასილი პროტოასკრიტიმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან
აღწერა ცხოვრებაჲ წმინდისა ამის, ვითარცა ისწავა მოწაფეთაგან წმინდისა“ ([10],
37). კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აქ მსჯელობა მესამე პირი-
თაა („აღწერა“, „ისწავა“), თანაც ისეთი განმადიდებელი ფრაზებია მოხმობილი,
რომლითაც სასულიერო პირი, ისიც მონაზონი, თავისთავს ვერ დაახასიათებდა.
მაშასადამე, ეს ცნობა არ ეკუთვნის ბერძენ მწერალს. მკვლევარმა მთლიანად თხზუ-
ლებაც ამ კუთხით განიხილა და იქიდან ამოკრიბა ისეთი ფაქტები, რომელთა
ცოდნა ან საქვეყნოდ გამოტანა IX ს. ბერძენი მწერლისაგან საესებით მოულოდ-
ნელია, კერძოდ, არ შეიძლება ბერძენ ავტორს ეკუთვნოდეს: ა. ქართული მწერ-
ლობისა და აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიის დეტალური ცოდნა; ბ. ქართ-
ველთა მართლმადიდებლობის შეურყევლობის რწმენა; გ. აზრი, რომ საქართველო
ღვთისმშობლის წილხვდომილია; დ. განუზომელი ქება ქართული ენისა და საზო-
გადოდ ქართველობისა; ე. რომაული ეკლესიისადმი სიმპატიების გამოვლენა, ამას
გარდა, თხზულების შესავალში ნათქვამია, რომ როდესაც ვრცელი ათონური რე-
დაქციის ავტორს თავისი შრომისათვის ხელი მიუყვია, „წმიდისა ამის“, ე. ი. ილა-
რიონის ცხოვრება უკვე აღწერილი ყოფილა. ამ ფაქტზე ბასილი ვერ მიუთითებ-
და, რადგანაც მანამდე ილარიონის ცხოვრება არავის დაუწერია ([2], 136—140).

შენიშნულ შეუსაბამობათა მიუხედავად, მკვლევარმა თავისი მწყობრი მსჯელობიდან შედარებით ფრთხილი დასკვნა გამოიტანა: თხზულების ვრცელი ათონური რედაქცია მის ძირითად ნაწილში ბასილ პროტოასიკრიტის მიერ იმპერატორის დავალებით ბერძნულ ენაზე დაწერილი და პრომანას ქართველთა მონასტერში ილარიონის წმინდა ნაწილთა გადმოსვენების ჟამს საჯაროდ წაკითხული ენკომიის თარგმანს წარმოადგენსო. რაჟი ბასილმა არ იცოდა „ყველა დეტალი წმინდანის ცხოვრებისა“, მისთვის დაწვრილებითი ცნობები მიუწოდებია ილარიონის მოწაფეს—ისააკს. ბასილის თხზულება უთარგმნია და შეუესია ადგილობრივი ცნობებით ექვთიმე ათონელს. ვრცელ ათონურ რედაქციაში, მთარგმნელის გარკვეული მოსაზრებით, ბერძნული ტექსტიდან ციტატებიც კია შესული, როგორცაა, მაგალითად: „ვითარცა უკანადასკნელ მოწაფემან მისმან ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგვითხრა, მოიქცა რა შემდგომად მიცვალებისა მისისა“ ([12], 140—145).

დიდი მეცნიერი ბოლომდე ერთგული დარჩა ამ თვალსაზრისისა.

ქ. კეკელიძის გამოკვლევათა საფუძველზე ქართულ მეცნიერებაში „ცხოვება“ მიჩნეულ იქნა „ნახევრად ნათარგმნ და ნახევრად ორიგინალურ ძეგლად“ ([11], 109).

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში კი ამ თვალსაზრისს გამოუჩნდა როგორც მომხრე ([12], 72), ასევე მოწინააღმდეგე ([13], 200).

ამასობაში ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში ([10], 9—37) „ცხოვება“ შევიდა როგორც ორიგინალური თხზულება და ქრონოლოგიურად XI—XV საუკუნეების ძეგლთა შორის მოთავსდა მაშინ, როცა არც ერთისა და არც მეორის უფლებას თვით ქ. კეკელიძის თვალსაზრისიც არ იძლეოდა. ძეგლის გამომცემელთა პოზიციას თხზულების ორიგინალობის თაობაზე დასაბუთება აკლია და წინამდებარე ნარკვევიც ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს*.

ამთავითვე კვლავ გასათვალისწინებელია ზოგადი ხასიათი თხზულებისა.

ვრცელი ათონური რედაქციის გამოქვეყნებამდე, მეტაფრასულ რედაქციაზე დაკვირვებითაც, თითქოს ცხადი უნდა ყოფილიყო: ქართულ ენაზე ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოები, თავისი იდეური ჩანაფიქრით, არ შეიძლება ეკუთვნოდეს ბერძენ მწერალს, ვრცელი ათონური რედაქცია ინარჩუნებს და ზოგჯერ უფრო მკვეთრადც წარმოაჩენს შესაბამის იდეურ ნააზრევს—სავსებით გამოკვეთილ ქართულ ერთვულ ტენდენციას უმთავრესად კულტურულ-სარწმუნოებრივ სფეროში ბერძნებთან დაპირისპირების სახით.

ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობათა ისტორიულ ფონზე, ამ ურთიერთობათა მთელ მანძილზე აქ დადასტურებული ნააზრევის მიკუთვნება ნებისმიერი ეპოქის ნებისმიერი ბერძნისადმი საერთოდ გაჭირდებოდა (ბასილ იმპერატორის კავკასიური წარმომავლობა ([14], 128—129); ([15], 148—165) ვერ გამოდგება ქართულ „ცხოვებაში“ ასახული ვითარების ასახსნელად). ეს შესაძლებლობა გამოირიცხება, თუ გავითვალისწინებთ ასეთ ფაქტს: ილარიონის მოღვაწეობის პერიოდი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ერთ დროს იწოდა ეროვნულ ხანად იმ მიზეზით, რომ მაშინდელი ქართველობა უმთავრესად სწორედ ბერძნებთან დაპირისპირებაში ცდილობდა თავისი ეროვნული სარწმუნოებრივ-კულტურული და

* ადრე პ. პეტერსა და ა. რუდაკოვს ჰქონდათ გამოთქმული თვალსაზრისი ავტორის ქართული წარმომავლობისა და თხზულების ქართულ ენაზე შექმნის შესახებ, რასაც მეცნიერული დასაბუთება აკლდა.

პოლიტიკური ფიზიონომიის გამოკვეთას ცნობილ ბიზანტიურ ქაოსში. „აბოს წამება“ ამ მცდელობის ადრეული ლიტერატურული ანარეკლია, ხოლო სახელგანთქმული ილარიონ ქართველი (მისი „ცხოვრების“ სახით) საბანის ძით დაწყებული მიმართულების შუაგზაზე დგას. კულტურულ-პოლიტიკურად ეს გზა ათონელთა და პეტრიწონელთა გავლით, აღმაშენებლის მიერ განმტკიცებული, თამარ მეფესთან სრულდება.

ამიტომაც, ვინც არ უნდა იყოს თხზულების ავტორი, „ილარიონ ქართველს ცხოვრება“, როგორც ლოგიკური შუარგოლი საბანის ძიდან ათონელებამდე, თავისი სულისკვეთებით, ძველი ქართული მწერლობის ერთ დროს ეროვნულ ხანად სახელდებული პერიოდის უტყუარი კუთვნილებაა.

ხოლო მისი ავტორი რომ ბასილ პროტოასიკრიტი არ არის, ამ ფაქტს, დასახელებურ მიზეზთა გარდა, ადასტურებს აგრეთვე „ცხოვრების“ სხვა ჩვენებანი, რომლებიც მეცნიერებაში აქამდე ყურადღების მიღმა დარჩა ან, ვფიქრობთ, მცდარადაა გაგებული.

უწინარესად საგულისხმოა „ცხოვრების“ ვრცელი ათონური რედაქციის ის მონაკვეთი, სადაც ილარიონის გარდაცვალებაზეა საუბარი: „ხოლო აღესრულა მამამ ჩუენი წმინდა ილარიონ თუესა ნოემბერსა ირთსა, დღესა შაბათსა... ქალაქსა შინა თესლონიკეს. და აღასრულებდეს წლითი-წლად ხსენებასსა მისსა მკვდრნი ქალაქისანი ეამსა მას ზემოწერილსა, რომელსაცა შინა მიიცვალა“, ([10], 29). აქ განსაკუთრებით ფასეულია ბოლო ფრაზის ჩვენება. მასში ზმნა „აღასრულებდეს“ წარსული დროის ფორმითაა წარმოდგენილი, კერძოდ, უწყვეტლის მრავლობითში. მაშასადამე, მოტანილი ნაწყვეტის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: თესლონიკელნი ყოველწლიურად, „წლითი-წლად“, ყოველი წლის თავზე ასრულებდნენ ილარიონის ხსენებას იმ დღეს, რა დღესაც იგი მიიცვალა.

ასლა გადავხედოთ თხზულების ქრონოლოგიურ ჩვენებათა იმ ნაწილს, რომლებიც ილარიონის გარდაცვალებასა და პრომანას მონასტერში მის წმინდა ნაწილთა გადმოსვენებას ათარილებს. ამ ჩვენებებზე დაყრდნობით კ. კეკელიძეს დადგენილი აქვს ორივე თარიღი: გარდაიცვალა ილარიონი 875 წლის 19 ნოემბერს, ხოლო მისი წმინდა ნაწილნი პრომანას მონასტერში დაასვენეს 876 წლის 7 დეკემბერს ([2], 157). მაშასადამე, ილარიონის გარდაცვალებიდან მის წმინდა ნაწილთა პრომანას მონასტერში დასვენებამდე გასულია, არც მეტი და არც ნაკლები, ერთი წელიწადი და თვენახევარი. ბასილ პროტოასიკრიტი, მიღებული თვალსაზრისით, იმპერატორის დავალებით ენკომიას სწორედ ამ დროს წარმოსთქვამს.

რაკი თესლონიკელებს 875 წლის 19 ნოემბრიდან 876 წლის 7 დეკემბრამდე მხოლოდ ერთგზის (876 წლის 19 ნოემბერს) ჰქონდათ შესაძლებლობა აღესრულათ ილარიონის ხსენება, ბუნებრივია ვამტკიცოთ: 875 წლის 7 დეკემბერს პრომანას მონასტერში ენკომიით გამოსულ ბასილ პროტოასიკრიტს არ შეეძლო ეთქვა, რომ თესლონიკელნი „აღასრულებდეს წლითი-წლად“, ე. ი. ყოველწლიურად, ყოველ წლის თავზე „ხსენებასსა მისსაო“. დაბეჯითებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ბასილის საგულგებელ ქებასა (ენკომიას) და ქართული თხზულების მოტანილ ცნობას შორის დიდი დრო იგულისხმება და ისიც ვრცელი ათონური რედაქციის შემქმნელს (კ. კეკელიძით — ექვთიმე ათონელს) ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში, მასთან ენკომიის ავტორს არაფერი აქვს საერთო.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ავტორისეული დახასიათება რომაული სარწმუნოებისა. ვრცელ ათონურ რედაქციაში ნათქვამია, რომ ილარიონს მრავალი მოწაფე ჰყავდა, რომელთა შორის გამოირჩეოდა ისაკი. იგი ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც თითქმის ყოველთვის და ყველგან დაჰყავდა თავის მოძღვარს. ილარიონს რომში მხოლოდ ისაკი ახლდა. ქართველი წმინდანები, უწინარესად ილარიონი, რომის წმინდა ადგილებს დაეწაფა „ვითარცა ირემი სურვიელი“ და „ადგზნებულმან სურვილითა საღმრთოთა“ იქ ორი წელი დაჰყო, მრავალი სასწაული და კურნებანი აღასრულა „ანგელოზებრ ცხორებითა და მოღვაწეობითა“, როგორც „უკანადასკნელ მოწაფემან მისმან ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგვითხრაო“, — ამბობს ვრცელი ათონური რედაქციის შემთხვევლი.

ავტორის დიდი სიმპათია რომაული სარწმუნოებისადმი კ. კეკელიძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ([2], 139). მიუხედავად ამისა, მკვლევარმა ისაკი ბერძენი მწერლის ინფორმატორად ცნო და სადავო ფრაზაც („ვითარცა უკანადასკნელ...“) მთლიანად ბასილს მიაკუთვნა, რომელიც თითქოს ექვთიმე ათონელს გარკვეული მიზნით უცვლელად გადმოუტანია თავის შრომაში. ეს ახსნა არაა დამაკმაყოფილებელი; მოტანილი ნაწყვეტი „ცხორებაში“ არავითარ განსაკუთრებულ მიზანს არ ემსახურება, ყოველშემთხვევაში ქართველი მწერლის მხრივ მისი უცვლელი გადმოტანა გარდაუვალი არ უნდა ყოფილიყო. თანაც, რაც მთავარია, იგი არ შეიძლება ეკუთვნოდეს IX საუკუნის ბერძენ მწერალს საერთოდ, მითუმეტეს — იმპერატორისაგან დავალებულ პიროვნებას.

აღნიშნული თვალსაზრისი დასტურდება ბერძენულ-რომაულ საეკლესიო ურთიერთობათა გათვალისწინებით და მისადმი ქართველთა დამოკიდებულებით.

მართალია, ბიზანტიაში შემავალ ხალხებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, მაგრამ მათ შორის ხშირად ჰქონდა ადგილი სერიოზულ უთანხმოებებს. ჯერ კიდევ IV საუკუნეში დიოკლიტიანე იძულებული გახდა შემოეღო ე. წ. ტეტრარქიის სისტემა და ბერძნული აღმოსავლეთისათვის (Partes Orientis) და ლათინური დასავლეთისათვის (Partes Occidentis) დაენიშნა დამოუკიდებელი მმართველები. რომელთა გაზრდილმა ავტორიტეტმა საფუძველი გამოაცალა ბერძენთა ოდინდელ სიამაყეს და სიტყვა „ჰელენ“-მა „წარმართის“ მნიშვნელობა მიიღო ([16], 49). უთანხმოებამ თავი იჩინა სარწმუნოებრივ სფეროშიც.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ილარიონის მოღვაწეობის დროს ატყდა მწვავე ცილობა-კამათი რომაელ და ბერძენ სამღვდლოებს შორის. ბერძნები რომაულ სარწმუნოებას ნაკლებად თვლიდნენ და მის ყოველგვარ გამოვლენას სასტიკად ებრძოდნენ. ეს ბრძოლა შემდგომში კიდევ უფრო გამწვავდა და 1054 წელს ამ ორი ქვეყნის ეკლესიათა ოფიციალური გათიშვით დასრულდა.

რომაული ეკლესიის ბერძნულმა შეფასებამ ქართველობაში მხარდაჭერა ვერ პოვა. პირიქით; ჩვენი წინაპრები ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, უწინარესად ბერძნების განსაკეიქებლად და საკუთარი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ფიზიონომიის გამოსავლენად, მტკიცედ იცავდნენ რომაული ეკლესიის ინტერესებს და ამ საკითხზე წარმოუდგენლად თამამ საუბარსაც უმართავდნენ თვით იმპერატორსაც კი. იმპერატორის ერთ-ერთ შეკითხვაზე, რომელსაც მიზნად ჰქონდა რომაული სარწმუნოების განქეიქება, გიორგი მთაწმინდელმა უპასუხა: „მეფეო, ვინაჲდან ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრეკეს... ხოლო ჰრომთა, ვინაჲთგან ერთგვის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის, ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს“ ([10], 189—190). ამ სიტყვებზე

თურმე „მთავართა მათ ჰრომთა დიდად განიხარეს, რამეთუ კულადცა ყოფილ იყო ამის პირისათჳს ძიებაჲ მათ შორის“ ([10], 190). საინტერესოა აღნიშნოს ორი ასპექტი პაექრობისა: ქართველები, ერთი მხრივ, იცავენ რომაელთა ინტერესებს, მეორე მხრივ, იქვე, პარალელურად ბერძნებს განაქიქებენ მწვალებლობისათვის.

თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ ვრცელი ათონური რედაქციის ზემოდასახელებულ ჩვენებას (და სხვაგვარად არც შეიძლება შევაფასოთ), მივიღებთ ქართველი მკვლევარის საპირისპირო, მაგრამ ისტორიულად გამართებულ სურათს. კერძოდ, ისაკის მონათხრობს, რომელშიც რომაული სარწმუნოებისადმი დიდი სიმაპტიებია გამოვლენილი, ბერძენი ბასილ პროტოასიკრიტი ხალხში ვერ გამოიტანდა, მით უფრო — ვერ აღწერდა მას. პირიქით; ხატობრძოლისაგან დაქანცული ბიზანტია, რომელმაც ის-ის იყო აღადგინა მართლმადიდებლობა, ისაკისაგან სრულიად საწინააღმდეგო პოზიციას მოითხოვდა; ბერძნული მართლმადიდებლობის განდიდებასთან ერთად ბასილს თავის გამოსვლაში ანტირომაული თვალსაზრისიც უნდა გამოეყვინა, თუკი შეეხებოდა რომაულ სარწმუნოებას, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი, მიღებული თვალსაზრისით, თვით იმპერატორის დავალებით გამოდიოდა. ამდენად, უნდა ვაღიაროთ, რომ თხზულების ამ მონაკვეთში გამოვლენილი ტენდენცია მთლიანად ქართული მოვლენაა და მას :რაფერი აქვს საერთო ბერძნულ აზროვნებასთან, მაშასადამე, სადავო ფრაზაც („ვითარცა უკანაჲსკნელ...“) არ შეიძლება ეკუთვნოდეს ბერძენ ბასილ მონაზონს. „ცხოვრების“ აღნიშნული ჩვენება, როგორც ერთი საბაზი, ერთი მიზეზი ბერძნულ სამყაროსთან დაპირისპირებისა, ლოგიკურად გრძელდება ათონელთა შემოქმედებაში. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ათონელებთან იგი უფრო მკვეთრადაა წარმოჩენილი, რაც ისტორიულ ვითარებათა სხვაობითაა განპირობებული.

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი ჩვენება თხზულებისა. სახელდობრ, ილარიონის წმინდა ნაწილთა ჰრომანას მონასტერში გადმოსვენებაზე საუბრისას ავტორი შენიშნავს: „მისწერა წიგნი სახმ ესევეთარი თესლონიკელ ღმრთის მსახურმან მეფემან ბასილი, ვითარცა პირველ ვთქუთ“, რასაც მოსდევს თვით წერილის ტექსტი. ფაქტიურად წერილის მიწერაზე მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ აქა საუბარი. ამდენად, სავსებით უადგილოა სიტყვები: „ვითარცა პირველ ვთქუთ“. საჯაროდ გამოსული ორატორისაგან, რომელიც თითქოს დაუწერილ ენკომიას კითხულობს, ნაკლებად მოსალოდნელია ასეთი ლაფსუსი. აღნიშნულ შეუსაბამობას ორგვარი ახსნა აქვს, რომელთაგან არც ერთი არ მეტყველებს ბასილის ავტორობის სარგებლად: ა) მსგავსი ლაფსუსის დაშვება სავსებით გასაგები განდება, თუ ვაღიარებთ, რომ ორატორი ზეპირად ჰყვება ამბავს; დაუწერილი ენკომია კი ვრცელ ათონურ რედაქციას საფუძვლად ვერ დაედებოდა; ბ) ვრცელი ტექსტის შემთხვეული წინდაწინ ეცნობა ილარიონის გარშემო არსებულ მასალებს, ხოლო მათი დალაგების ან „განსრულების“ დროს უნებლიედ წინდაწინვე უთითებს მისთვის უკვე ცნობილ ფაქტს იმპერატორის მიერ წერილის გაგზავნის შესახებ.

ამდენად, კვლევის ამ ეტაპზე სავსებით ვიზიარებთ და განვამტკიცებთ კ. კეკელიძის თვალსაზრისს, რომ ვრცელი ათონური რედაქცია მთლიანად არ შეიძლება ეკუთვნოდეს ბერძენ მწერალს. კვლევის შემდგომ საფეხურზე კი შესაძლებელი ხდება საზოგადოდ ბასილ პროტოასიკრიტის ენკომიის, როგორც ქართული „ცხოვრების“ წყაროს, უარყოფა.

ვრცელ ათონურ რედაქციაში, სულ მცირე, ორი პლასტი შეინიშნება, რომელთაგან ერთი ავტორისეულია, ხოლო მეორე — მის შემთხვევლს ეკუთვნის. ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ამ პლასტების გამოჩენა, განსაკუთრებით შესავალში. აქ შესავლის (და არა თავდაპირველი ტექსტის) ავტორი რამდენიმეჯგუფის შეგვახსენებს თავის მიზანს და გარდავლით იმ პირობებსაც მოხაზავს, რომელშიც მას მუშაობა უხდებოდა.

წმინდანის შესახებ ზოგადი მსჯელობის შემდეგ იგი, კონკრეტულად ილარიონზე მითითებით, ამბობს: წმიდათა თანა „წერაცხა... მამა... ილარიონ... რომლისათვის-ესე არს სიტყუაჲ ჩუენი და წინამდნბარე არს აღწერად და მითხრობად შემდგომთა ნათესავთა ცხორებაჲ... მისი“. მასასადაჲ, გადამკეთებელს განუზრახავს თავისი თანამემამულის „ცხორების“ აღწერა „შემდგომთა ნათესავთა“ მოსათხრობად.

ავტორი იქვე განმეორებით ასახელებს თავის მიზანს იმ განსხვავებით, რომ აქ იგი განმარტავს, თუ ვის რა გაუკეთებია ილარიონის ღვაწლის წარმოსაჩენად. უწინარესად ამხელს ვიღაც პიროვნებას, რომელსაც შეუთხზავს თუ წარმოუთქვამს ილარიონის შესხმა: „ხოლო არა განვაგრძოთ სიტყუაჲ ჩუენი, რომელთა-ესე არა თუ შესხმისა გზაჲ გვპყრის, არამედ აღწერად ცხორებისა მოსწრაფე ვართ“. ამას მოსდევს ერთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ფრაზა: „იყო ნეტარი ესე... ნათესავთ ქართველი, ვინაჲ-იგი მრავალნი წმინდანი გამოჩნდეს და სასწაულთა მოქმედნი კაცი; ხოლო დაღაცათუ აღუწერელობითა ცხორებისა მათისაჲთა ჟამთა სიმრავლითა დივიწყენს... გარნა რაოდენთაჲმე ახლად გამოჩინებულთა წმინდათა საჯსენებელიცა დაშთა და ცხორებაჲცა აღიწერა ღმრთის-მოყუარეთა მიერ კაცთა და მოსწრაფეთა, ვითარცა-ესე წმიდისა ამის, რომლისათვისცა არს სიტყუაჲ ჩვენნი“.

აქ უკვე გარკვევითაა ნათქვამი, რომ „სახსენებელთან“ ერთად ილარიონის „ცხორებაც“ აღწერილი ყოფილა მანამ, სანამ შეიქმნებოდა ვრცელი ათონური რედაქცია.

ავტორი არც ამაზე მითითებით დაკმაყოფილებულა და საჭიროდ დაუნახავს ერთხელ კიდევ და საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა თავისი მიზანი: „არამედ ჩუენ პირველსაჲვე სარბიელსა სიტყუს(ა)სა მოვიდეთ და მოგითხრათ ყოველივე სახს ცხორებისა მისისაჲ“.

შესავლის მთელ მანძილზე მისი ავტორის მსჯელობა სავსებით ლოგიკურია, თანმიმდევრული და გასაგები. ის ამბობს: ჩემს წინაშეა აღსაწერად ილარიონ ქართველის ცხოვრება. მის სახელზე წარმოუთქვამთ თუ დაუწერიათ შესხმა, დარჩენილა მისი სახსენებელი, აგრეთვე თვით „ცხორებაც“ ადრე შეუქმნიათ; ახლა კი ჩემი მიზანია მოგითხროთ „ყოველი სახს“ წმინდანის მოღვაწეობისაო.

ვრცელი ათონური რედაქციის ეს მონაკვეთი რომ ბასილ პროტოასიკრიტს არ ეკუთვნის, ამ ფაქტს რამდენიმე გარემოება ადასტურებს. კერძოდ, აქ საგანგებოდაა დაწუნებული „შესხმა“ და მის საპირისპიროდ იწერება წმინდანის ცხოვრების „ყოველი სახის“* მომთხრობი თხზულება. რაკი გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბასილს თვითონ „ეპყრა“ შესხმის „გზა“, ცხადია, იგი ვერ დაუპირისპირდებოდა

* ცხოვრების „ყოველი სახის“ მოთხრობის წადილი ხშირად შეიმჩნევა ქართველ აგიოგრაფებთან. იგი უწინარესად გულისხმობს წმინდანის ბიოგრაფიული ფაქტების დეტალურ და სრულ აღწუსებას ცხოვრების მთელ მანძილზე ან ერთ რომელიმე მონაკვეთში (ნიმუშისათვის იხილეთ: [10], 103, 109).

თავისათვის და ვერ იტყვოდა: „ჩვენ არა თუ შესხმისა გზად გვპყრის, არამედ აღწერად ცხოვრებისა მოსწრაფე ვართო“. ეტყობა, ამ ფრაზის ავტორს ცნობა ბასილის მიერ ილარიონის სახელზე შესხმის წარმოთქმის შესახებ „ცხოვრების“ დასასრულიდან დასაწყისშიც გამოუტანია. ამდენად, იგი თხზულების მეორეული პლასტია და ვრცელი ათონური რედაქციის შემთხზველს ეკუთვნის.

ყველაზე საინტერესო მანც შესავლის ის ნაწილია, სადაც ნათქვამია, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ აღრეც არსებობდა*. აკად. კ. ქვეკელიძე მასზე საგანგებოდ არ მსჯელობს, თუმცა მასთან გარკვევით იგრძნობა ტენდენცია, რომ ვრცელ ათონურ რედაქციამდე აღწერილი „ცხოვრების“ ავტორის პატივი ბასილ პროტოასიკრიტს მიაგოს.

ფაქტიურად კი აქ სხვა ვითარება უნდა დასტურდებოდეს.

ნაწყვეტში საგანგებოდაა მსჯელობა ქართველთა ქვეყანაზე, სადაც მრავალი წმინდანი გამოჩნდა. საუბარია აგრეთვე ქართულ სასულიერო მწერლობაზე. ქართველი მწერლები ვალში დარჩენილან ეროვნულ წმინდანთა წინაშე, რის გამოც მათი ღვაწლი დაეწყებას მისცემია. თუმცალო, ამბობს ნაწყვეტის ავტორი, ბოლო უამს მანც მოგვევლინენ მწერლები, რომელთა შემწეობით ახლად გამოჩინებულ წმინდათა „სახსენებელი“ დარჩა და „ცხოვრებაც“ აღიწერა. კერძოდ, დარჩა „სახსენებელი“ და „ცხოვრება“ იმ პიროვნებისა (ილარიონისა), რომლის შესახებ მე ამჟამად ღეტალურად უნდა მოგითხროთო.

ცხადია, მოტანილ მსჯელობაში ყოველგვარი ბერძენი და ბერძნული მწერლობა გამორიცხულია. იგი წარმოადგენს ქართველი წმინდანების, მწერლობისა და მწერლების ერთგვარ დახასიათებას. ამიტომაც საესებით ნათელი უნდა იყოს, რომ როდესაც შესავლის ავტორი მსჯელობს ეროვნულ აგიოგრაფიაზე და მის ნაკლოვანებებზე, შემდეგ კი ერთგვარი კმაყოფილებით აღნიშნავს ღვთისმოყვარე კაცთა მიერ წმინდათა, მათ შორის ილარიონ ქართველის, „ცხოვრების“ აღწერას, იგი ვერ მიუთითებდა ბერძენი მწერლის ნაწარმოებზე. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიამ (იმ პერიოდის ბერძნულმა ლიტერატურამ მანც) არ უნდა იცოდეს არც ერთი შემთხვევა, რომ ბერძენ მწერალს აღწეროს წარმოშობითა და საქმიანობით ქართველი წმინდანის ცხოვრება. ამის გამოც შესავლის მოტანილი ნაწყვეტის ავტორი ვერ იტყვოდა: ღვთისმოყვარე და მოსწრაფე ბერძნებმა აღწერეს არა მხოლოდ ილარიონის, არამედ „რაოდენ თამე ახლად გამოჩინებულთა წმინდათა“ ცხოვრებაო.

ამასთანავე ბასილ პროტოასიკრიტს მართლაც რომ დაეწერა ილარიონის „ცხოვრება“, იგი ბიზანტიურ (ბერძნულ) აგიოგრაფიულ მწერლობას განეკუთვნებოდა, როგორც ბერძენი მწერლის მიერ ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულება საბერძნეთსა და საერთოდ ბიზანტიაში მოღვაწე წმინდანზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ „ცხოვრებათა“ უკმარობაზე გადამკეთებლისეული მსჯელობა არ შეიძლება განვავრცოთ ბერძნულ მწერლობაზე, რადგანაც ეს დარგი ყველაზე მდიდრად სწორედ აქ იყო წარმოადგენილი, რისი შეგნებაც ქართველებს იმთავითვე ჰქონდათ.

ქართულ სინამდვილეში კი მოტანილ ნაწყვეტს ისტორიული საფუძველი ეძებნება და იგი ერთ რიგში დგება ეროვნულ აგიოგრაფიულ ძეგლებთან.

ზემოთქმული გვაძლევს რეალურ საფუძველს ვიფიქროთ, რომ შესავლის

* შესავალში საუბარია ილარიონის „შესხმის“, „სახსენებლისა“ და „ცხოვრების“ არსებობის შესახებ, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის არაა გათვალისწინებული.

ავტორის მიერ დასახელებული „ღმრთისმოყუარე“ პირი, რომელმაც „აღწერა“ ილარიონ ქართველის ცხოვრება, არის უცნობი ქართველი მწერალი. თხზულებაში გამოვლენილი მკვეთრი ეროვნული ტენდენცია უწინარესად ამ მიზეზით აიხსნება.

გარდა მოტანილი ფაქტებისა, ამგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს საზოგადოდ შესავლის თხრობის თავისებურება. გადამკეთებლის მსჯელობაში შეგნებულადაა დიფერენცირებული ბასილის საკულვებელი „შესხმა“ და უცნობი ქართველი მწერლის ასევე საკულვებელი „ცხოვრება“. შესავლის ტონი გარკვევით მიანიშნებს, რომ მისი ავტორი უპირისპირდება პირველს (ბასილის შესხმას) და თავისი თხზულების საფუძვლად იყენებს მეორეს (უცნობი ქართველი მწერლის „ცხოვრებას“).

ბასილ პროტოასიკრიტის შრომისადმი დაპირისპირება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: ა) მიზანდასახულობის სპეციფიკით; ბ) ლიტერატურულ-თეორიული თვალსაზრისით; გ) საზოგადოდ ბერძნულ-ქართული სარწმუნოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე, რასაც დაერთვის რომაული სარწმუნოებისადმი ამ ორი ხალხის ეკლესიათა განსხვავებული დამოკიდებულება.

მიზეზი პირველი: ეს მიზეზი გარდავლით განცხადებულია თვით გადამკეთებლის სიტყვებში. ვრცელი ათონური რედაქციის შემდგენელს განუზრახავს ილარიონ ქართველის ცხოვრების „ყოველი სახის“ აღწერა. ბუნებრივია, იგი ვერ დაუქმყოფილებია ბასილ პროტოასიკრიტის შესხმას, რომელიც ფაქტობრივად მასალისაგან დაკლილი ყოფილა იმდენად, რომ იგი თურმე არ შეიცავდა წმინდანის ბიოგრაფიის უმთავრეს დეტალებსაც კი—ილარიონის ეთნიკურ-გეოგრაფიულ სადაურობას, მის ვინაობას საერთოდ. ვრცელი რედაქციის შემთხვევით შეგნებულად ემიჯნება ბასილის საკულვებელ შესხმას და თავისი მიზნის დასახელებით ცხადად მიანიშნებს კიდევაც მის რაობაზე: „(ჩვენ) არა თუ შესხმისა გზა გვპყრიეს, არამედ აღწერად ცხოვრებისა მოსწრაფე ვართ... თუ ვინა ადმოსცენდა წმინდა ესეანჟრომელთა კერძოთაგან აღმოჰხდა“ ([8], 10). ეტყობა, შესხმაში ეს ელემენტარული, მაგრამ უპირველესი და უსაჭიროესი ბიოგრაფიული ცნობებიც არ ყოფილა შესული, რადგან ქართველი მწერალი უწინარესად ამ მხრივ უპირისპირდება მას.

მიზეზი მეორე: ხატობრძოლობის დაძლევა IX ს. შუა წლებიდან ბიზანტიის ლიტერატურულ აზროვნებაზეც მოახდინა გავლენა. „ახალ წმიდათა“ განდიდებას მხატვრული სიტყვის ახალი ფორმები მოითხოვა. საერთოდ ლიტერატურაში, კერძოდ—ავიოგრაფიაში, მტკიცედ მკვიდრდება რიტორიკული სტილი სასულიერო მწერლობისა. გარკვეული აზრით, მწერალს ორატორი ცვლის, მკითხველს—მსმენელი. საჯაროდ ენკომიით გამოსული ორატორი უყურადღებოდ ტოვებს წმინდანის ბიოგრაფიულ დეტალებს, ვერ ხატავს კონკრეტული პიროვნების სახეს. ხშირად მისი მოღვაწეობის პერიოდიც კი მხედველობის გარეშე რჩება. უმთავრესი მისი თვისება „განგაძობილი“ თხრობაა, ზვიადი და ბუნდოვანი სტილი.

აღნიშნულის დასადასტურებლად გამოვყავდებოდა „წმინდა ევდოკიმეს ცხოვრება“, რომელიც სწორედ ილარიონის ეპოქაშია საჯაროდ წაკითხული. ვითარცა ენკომია, ქება. იგი იმდენად ღარიბია თავისი „ისტორიული შინაარსით“, რომ მისგან „შეუძლებელია განისაზღვროს ის ღროც კი, თუ როდის ცხოვრობდა წმინდანი“ ([1], 114—115). ფაქტიური მასალისაგან თითქმის სავსებით დაკლილ ამ „ცხოვრებას“ სტილიც შესაბამისი აქვს—ზვიადი, თვითმიზნური, გარეგნული

ბრწყინვალეებით დამდიმებული, თხრობა—„განგრძობილი“. ამ დროის წმინდანთა ცხოვრების გადმოცემისადმი „ბიზანტიური დამოკიდებულება“ მეცნიერებაში დახასიათდა როგორც *Multa, sed nihil*—ყველაფერი, მაგრამ არაფერი ([17], 184).

შესხმას, ენკომიას, რიტორიკულ „ცხოვრებას“ ბიზანტიაში იმთავითვე გამოუჩნდნენ ლიტერატურული მოწინააღმდეგენი; დაგმობილ იქნა მისი ცალმხრივობა, ფაქტობრივი სიღარიბე, „განგრძობილი“ თხრობა, შეძლებისდაგვარად დასაბუთდა საერთოდ მისი უვარგისიანობა ([18], 289).

უნდა ვიფიქროთ, რომ ბასილ პროტოასიკრიტის საგულგებელი შესხმაც ჩვეულებრივ *Multa, sed nihil*-ის ტიპისა იყო, ფაქტობრივი მასალისაგან დაცლილი, „განგრძობილი“ თხრობის შემცველი. ვრცელი ათონური რედაქცია ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი ძეგლია, რომელშიც მხატვრულად უკუიფინა IX საუკუნის ბიზანტიური ორატორული სკოლის ესთეტიკური ნააზრვეი მისი უარყოფის სახით. ამაზე გარკვევით მიუთითებს მისი შემთხვევლის საგანგებო გაფრთხილება: „ხოლო არა განვაგრძოთ სიტყუაჲ ჩუენი*, რომელთა-ესე არ თუ შესხმისა გზაჲ გვპყრიეს, არამედ აღწერად ცხოვრებისა მოსწრაფე ვართ“. შესხმა რომ „განგრძობილი“ თხრობაა და წმინდანის „საქმიანი ცხოვრების“ აღსაწერად გამოუყსადეგარი, ეს გარემოება ქართველ მწერალს მშვენივრად ესმის**. ამ შეგნებით უპირისპირდება იგი აღნიშნულ უანრს საერთოდ. ამიტომაც გვევლინება ვრცელი ათონური რედაქციის შემქმნელი ბიზანტიაში საფუძველჩაყრილი ანტირიტორიკული მიმართულების ერთ-ერთ პირველ მიმდევრად ქართულ სინამდვილეში.

ზემოდასახელებული ავტორები, გ. ნადარეიშვილის გამოკლებით, ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ადრე, ე. ი. მე-19 საუკუნემდე, საქართველოში jus primae noctis არ არსებობდა. გ. ნადარეიშვილის აღნიშვნით კი, თუ ის გარემოება უდავოა, რომ XIX საუკუნემდე საქართველოში არ არსებულა „პირველი ღამის უფლება“, ისიც უდაოდ უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არც XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებულა ([22], 35). თავისი თვალსაზრისის გასამტკიცებლად მკვლევარი იქვე დასძენს: „სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების მაშინდელ დონეზე ყოველად შეუძლებელია, რომ მანამდე არ არსებული „პირ-

ველი ღამის უფლება“ თუნდაც ადათობრივი სამართლის ნორმად ქცეულიყო. გარდა ამისა, რაც მთავარია, ამის საბუთები არ გავაჩნია“ ([22], 35),

საინტერესოა რას გვეუბნება ამ მხრივ ქართული ხალხური სიტყვიერება?

პირველი ღამის უფლება რომ წესად ჰქონდათ ქართველ ფეოდალებს, ამის შესახებ საკმაოდ მოგვეპოვება როგორც ძველი, ისე შემდგომი პერიოდის ჩანაწერები. მისი არსებობის შესახებ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღესაც მოგვითხრობენ მოხუცი ინფორმატორები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ერთი პატარა ერთსტროფიანი ხალხური ლექსი, რომლის ძირითადი შინაარსი დაიკარგა, მაგრამ მასთან დაკავშირებით შემორჩენილია მეტად საყურადღებო გადმოცემა, ე. ი. ლექსის შექმნას საკმაოდ დრმა ისტორიული წარსული უდევს საფუძვლად:

ვაჟიკაცო, გულოვანო,
 ღვინის ფერო, მცინარეო,
 ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის
 ფეხი წადგი წინარეო ([23], 344),

ვ. კოტეტიშვილი თავის ექსკურსებში აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით გადმოგვცემს: „ხევში, ამ ლექსის შესახებ ასეთი თქმულება არსებობს: საქართველოდან მოსულა ერთი ბეგი, გამაგრებულა სნოს ციხეში, ურბევია ხალხი და ერთნაირი უწესობა უდენია. ბოლოს ასეთი წესი დაუდგია: თუ ვინმე ქალი გაათხოვონ, ისე ქმართან არ უნდა წაიყვანონ, სანამ ციხეში ბეგთან არ აიყვანენ საწოლად და უკეთუ ქმარმა უმისოდ წაიყვანა, მაშინვე თავს მოსჭრიდა ქალის მამას, სახლს დაუწვავდა... ამ დროს ერთ არშელს თავისი ქალი გაუთხოვებია, სასიძო თურმე ამბობდა, რა გქნა, რაკი ციხის ბატონი ბეგი ჩემს ცოლს არ დამანებებს და პირველად ის წაიყვანსო, რალა ჩემი ცოლი იქნებაო. სასიძომ მოიფიქრა და თავის სიმამრს უთხრა: შენ ბეგთან მიშუამდგომლე და საჩუქრად ქრთამს მოგცემ, მხოლოდ საცოლეს ნუ გამიწილებსო. სიმამრმა სიძის თხოვნა შეასრულა და სიძესი სიმამრი ორივე ციხეში ბეგთან წავიდნენ, თან ერთი ხარი, ოცი თუმანი ფული და ერთი კარგი თოფი წაიღეს, ბეგის წინ წარსდგნენ და მოახსენეს: ესენი შენი საჩუქარი გახლავს და გთხოვთ, რომ ეხლა რომ ქალი მყავს საქორწინოდ გამზადებული, ნუ გავგვწილებ და ეს ნუგვმი გვიყავო. ბეგს ეს საჩუქარი უცოტავებია და უთქვამს: ასე ცოტა საჩუქარზე არ გეპატიება ეგ ქალიო. სასიძოს უპასუხნია: აი, უკანასკნელი ეს ხმალი მაქვს და ამასაც გიძღვნიო. წელზე ნაბამი ხმალი ბეგისთვის მიუცია. ბეგს ხმალი გაუსინჯავს და უთქვამს: ხმალზე კი გეპატიებოდით, რომ მოკლე არ იყოსო. ამ სიტყვებით ხმალი უკანვე გადაუდგია. სასიძოს ხმალი ხელში აუღია და უთქვამს: ეს ხარი, თოფი, ოცი თუმანი და ეს ხმალი საჩუქრად მოგართვი, ახლა შენს ღმერთსაც აპატივე და მეც ნუ შემირცხვენ საცოლოსაო. ბეგს დაუყვირნია—არ გესმის, ხმალი მოკლეაო და ამით გაუთავებია სიტყვა. გულზე მოსულ სასიძოს უთქვამს:

ხმალს სიმოკლე რას მოუშლის
 ფეხი წარსდგი, გარძელღების,
 კაცს მანამდე ეშინიან,
 მანამ საქმე გაძნელღების.

უთქვამს ესა, შემოუქნევია სასიძოს ხმალი და ბეგისათვის თავი კი გაუგდებინებია“ (ი. ა. კ-ძე „ივ“ 1888 წ, № 209) ([23], 399—400).

ანალოგიური შინაარსისაა რაჭაში საყოველთაოდ ცნობილი ლექსი ზვიადა ლობჯანიძის შესახებ: თურმე ყმა ზვიადა ცოლს არ ირთავდა პირველი ღამის

უფლების გამო. ყმა გლეხი მეზობლებს ეუბნებოდა: „ღებელნო, მიკვირს რატომ არ გრცხვენიათ რო ამდენი ბიბრობა ბატონისათვის შეგირჩენიათ! ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ, უწინ ბატონთან მიგყავით“ ([124], 29). ამ სიტყვების შედეგად გლეხები აჯანყებულან და თავად არეშიძებს დასვეიან.

მსგავსი სიტუეტი ჩაუწერია ზ. ჭიჭინაძეს სხვადასხვა მთქმელებისაგან კაკო ყაჩაღთან დაკავშირებით;

„კაკო ყოფილა კახეთის ერთი სოფლის ოჯახისშვილი და ყარგი ვაჟკაციც. ეს ყოფილა ანდრონიკაშვილის ყმა. ამ კაკოს განუზრახავს ცოლის შერთვა. ემას თურმე ამის გამო ბატონი წასდავებია, რომ შენი საცოლე პირველ ღამეს ჩემიაო. კაკო თავმომწონე ბიჭი ყოფილა და ეს წინადადება საძრახისად მიუღია, სოფლად რუსის მოსამართლისათვის მიუმართია და იმას ყურადღება არ მიუქცევია,—ბატონის საქმე არისო. მერე მღვდლისთვის მიუმართავს, მღვდელს დარიგება მიუცია. ამის შემდეგ კაკოს მოუმზადებია კარგი ძღვენი, ამასთანავე კარგად გაუღესავს ერთი კარგი ხანჯალი და ერთ ღღეს სწვევია თავის ბატონს თავისი ძღვენით. ხანჯალი კი ჩოხის ქვეშ ჰქონდა დამალული. კაკო მისულა ბატონთან, ძღვენი მიუერთმევია და უთხოვნია, რომ ნება მომეცით, დავქორწინდეთ. ბატონს უთქვამს: —შენი ცოლი პირველ ღამეს ჩემიაო. კაკოს უთქვამს: ბატონო ჩემო, ეგ თქვენ ზრდილობას და კეთილშობილებას როგორ ეკადრებაო.

ბატონს მიუვია:

—ჩემს ზრდილობას და კეთილშობილობას სწორედ ეს ეკადრებაო.

ამაზე კაკო გაცეცხლებულა, მაგრამ ბატონისათვის მაინც კიდევ თხოვნა დაუწყია. ბატონს კი უარი უტკიცნია და გავდება დაუპირებია. მაშინ კაკოს უძვრია ხანჯალი, ბატონისათვის თავი გაუგდებინებია, გაქცეულა ტყეში... მერმე გაქცეულა ზაქათალისაკენ და ყაჩაღ კაკო ბლაჭიაშვილს შეერთებია ([25], 13). თურმე ამ ამბავთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძეს ილიასთვის უკითხავს, რაზედაც მისგან ასეთი პასუხი მიუღია: „ეს ამბავი მეც ვიცოდი, მაგრამ ვერ დავწერე, რადგან ცენზორი დაბეჭდვის ნებას არ მომცემდაო“ ([26], 18).

ხალხური მასალების მიხედვით, არსენა ოძელაშვილის ყაჩაღად გავარდნის ერთ-ერთი მიზეზიც ეს ჩვეულება ყოფილა:

ზაალ ბარათაშვილი მესამე, ბატონი არსენასი,—გადმოგვეცემენ მთქმელები,—საზიზღარი მებატონე ყოფილა. მას ბევრი ბოროტება აქვს ნაქნარი თავის ყმებზედ, გოგოების მოტაცვა, პირველი ღამე, საჩექმეს თხოვნა, ვინც ლამაზი იყო, იმას თვითონ ან მისი ნათესაები იკუთვნებდნენ, ვინც არალამაზი და, მისი გათხოვება უსაჩქმოდ არ მოხდებოდა...

ასეთი დაჩაგვრა და პიროვნების შებილწვა ვერ აიტანა არსენა ოძელაშვილმა. მისი ბუნება ისეთი იყო, რომ იგი ამას ვერც აიტანდა, იგი განსაკუთრებულის გმირობა-თამაშობით შესხმული იყო, მიტომ დაუდგა ბატონს წინ და უთხრა:—ბატონო, თქვენ მე მიმსახურეთ, ჩემს საცოლესთან თქვენ რა საქმე გაქვითო. ბატონმა მიუგო თურმე:

—შენც ჩემი მონა ხარ და შენი ცოლიც. რასაც მინდა, იმას გიზამ.

—არ მოგცემ მაგის ნებას, სისხლი დაიდვრება და ნუ იზამ ამას, ბატონო!

—მიუგო არსენამ.

—მე თუ ბატონი ვარ, ბატონი უნდა ვიყოვო, შენ ვინ ოხერი ხარ, რომ ჩემს ყმა გოგოზედ ასე მელაპარაკები და მეღფერი (მედავები).

ეს ვეღარ მოითმინა არსენამ და გავარდა ყაჩაღათ ([26], 126—127)“.

ეს წესი ჩვეულებად ჰქონდათ გადაქცეული საქართველოს თითქმის ყველა

კუთხის თავადებს. ამის შესახებ საკმაოდ ბევრი მასალაა მოყვანილი ზ. ჭიჭინაძის ნაშრომში და ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზემოაღნიშნულით დავკმაყოფილდებით.

რას მოგვეთხრობს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ახალი ფოლკლორული ჩანაწერები? ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა თსუ ფოლკლორულ არქივში დაცული რამდენიმე ტექსტი.

—„ბატონი იყო ხადიანთ,—აღნიშნულია 1971 წელს დუშეთის რაიონში, სოფ. დუმაცხოში ჩაწერილ მასალებში,—მოკლა მერე ისა, დაუბარა რო პატარძალი ჯერ მე გამომიგზავნეო. ის ბატონი საცა კი ცხენიდან ჩამოხდებოდა—ის ადგილი ჩემიაო.

ბატონი აფციაური იქნებოდა. მოჰყვარებია ერთი პატარძალი და სდომებია, მაგრამ იმ კაცმა (საქმრომა) მოკლა ის ბატონი, რადგან ცოლი მე მინდაო“ [27].

1973 წელს სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონის სოფ. საჩინოში ფიქსირებულ მასალებში ვკითხულობთ:

„ჩვეულება იყო, ქორწინების პირველ ღამეს პატარძალს ხელს არ ახლებდნენ. მეორე ღამეს კი პატარძალი თავადთან უნდა მიეყვანათ. ამას ეძახდნენ „ჭყუა-ლეს“—გახენდას. თუ თავადი არ ინებებდა ქალთან წოლას, ის ქალი არ ვარგოდა; იყო შემთხვევა, რომ თავადს ჰკლავდნენ პირველი ღამის უფლებების გამო. ხან კი თავადი არ ინებებდა ქალთან წოლას, გლესს ძალით მიჰყავდა, ემინოდა ცული არაფერი მოსვლოდა ოჯახში“ [27].

მეორე გადმოცემის მიხედვით კი „იყო შემთხვევები, როცა საქმროს თვითონ მიჰყავდა პატარძალი და სთხოვდა, პირველ ღამეს ჰყოლოდა: ბევრ შემთხვევაში თავადი თანახმა იყო შეესრულებინა თავისი გლესის სურვილი, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა უარით ისტუმრებდა. ასეთ შემთხვევაში გლესს დასცინოდნენ: —ცული ქალი მოიყვანა, სოფლისთვის შეუფერებელიო. მიტომ ცდილობდა გლესი თავადთან მიეყვანა. თუ თავადი უარს ეტყოდა, გლესი შაინც არ მოეშვებოდა: —„თავს ლაფს ნუ დამასხამ, დაიტოვე ერთი ღამითო. თავადი იძულებული იყო შეესრულებინა გლესის თხოვნა“ [27].

იგივე აზრი გამოთქვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურის მცხოვრებმა კ. გახარიამ [27] და სოფ. თაისის მკვიდრმა გ. გაბედავამ [27].

სამეგრელოში ჩაწერილი მასალების მიხედვით ისე ჩანს, თითქოს მეგრელი გლესი უსიტყვოდ დამორჩილება ბატონის ნება-სურვილს და მისი მართლაც „ყურმოჭრილი“ მონა გამხდარა. ადრეულ მასალების მიხედვით კი ამ წესს სამეგრელოშიც საშინლად ეწინააღმდეგებოდნენ; მაგალითად, აკაკი წერეთელის მამის ყმის, ლაბაძის ნაამბობის მიხედვით ერთ-ერთი ყმა გლესი თითქოს შეპასუხებია კიდევაც თავად დადიანს:

„ბატონო,—უთქვამს ყმას,—რაზედ გვაწვალებთ, რასა ჰგავს ეს, თქვენ ქრისტიანი ხართ, თუ სხვა ვინმე?! ასე თათარიც არ გვაწვალებს, როგორც თქვენ გვტანჯავთ... მთელი ქვეყანა თქვენ გემღურით... მთელი თქვენი მოყმენი თქვენს სახელს და ხსენებას სწყველიან და მრავალნი გემუჭრებიან, გითვლიან: პირველ ღამეს თავი გაანებე... თორემ უსათუოდ აგუწყავთო...“ ([26], III).

„პირველად ქალი რომ მოყავდათ,—მოგვეთხრო ქვიშხეთის მცხოვრებმა,—აუცილებლად ბატონთან უნდა მიეყვანათ. ახლა რო კლუბია, იქა ცხოვრობდა თავადი. მე არ მახსოვს ასეთი რამე, მაგრამ ჩემი დედამთილი იტყოდა, ქალი პირველად ბატონთან უნდა მიეყვანათ, ისე არ შეიძლებოდაო. ასე კი არ ვიყავით დაღრვეილები, ეხლა რომ ვართო, კუკულასავით გოგოს რომ მოუყვანდნენ, რა

თქმა უნდა, ბატონსაც გული შეუვარდებოდა. ამიტომ პირველად ბატონთან უნდა წაყვანათ, ისე ქორწილის ნებას არ მისცემდა“ [27].

„გადმოცემით, გურიაშიც პატარძალი როცა მოყავდათ, ქალი პირველად ბატონთან უნდა მიეყვანათ, — გვითხრა 83 წლის მთქმელმა, გურიიდან ქვიშხეთს გამოთხოვილმა ფეოდოსია ვოგალაძე-გულაძემ, — მაგრამ გურიაში გლეხები არ იყვნენ ისე დაჩაგრული და ალბათ ამიტომ გადავარდა ადრეო; ნაკაშიძე იყო თავადი; ქართლში უფრო იყვნენ დაჩაგრული გლეხები, ამილახვრები რომ იყვნენ, მაგი და სხვები, იმათ ხელში“ [27].

მართლაც, ამილახვრები ზ. ქიქინაძის მიხედვითაც საშინელი მოტრფიალენი ყოფილან „პირველი ღამისა“. „უმისოდ ამის საყმოში ვერავინ გათხოვდებოდა, ამ ბოროტისაგან სოფლის ყმანი შეწყუხებულნი იყვნენ“ ([26], 44).

„პირველი ღამის უფლება“ მე-19 საუკუნის სინამდვილეში ძალაში ყოფილა აფხაზეთშიც: „В народной памяти сохранились отдельные далёкие воспоминания о т. н. „праве первой ночи“, которым действительно пользовались преимущественно некоторые абхазские владетельные князья“, — წერს შ. ინალ-იფა და საილუსტრაციოდ მოყავს მთელი რიგი გადმოცემები ([28], 132—133).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში, ისევე, როგორც ზოგიერთ ფეოდალურ ქვეყნებში, ხალხს მკაცრი ზნეობრივი ცენზურა ჰქონდა დაწესებული საპატარძლოს ფიზიკურ მდგომარეობაზე. პატარძლის ქალწულობა სქესობრივი მორალის ურყევ საძირკველს წარმოადგენდა და „მისი დემონსტრირება ხალხმა საქორწილო ცერემონიალის აუცილებელ შემადგენელ ელემენტად აქცია“ ([22], 30; [29], 158). აღნიშნულ რიტუალს კი ზოგჯერ „პირველი ღამის უფლების“ არსებობის უარსაყოფად იშველიებენ ([22], 31—32).

როგორია ჩვენი თვალსაზრისი საკვლევ საკითხთან დაკავშირებით?

ვფიქრობთ, რომ „პირველი ღამის უფლება“, როგორც ხალხური ჩვეულება, უძველეს დროს საქართველოშიც უდაოდ არსებობდა, მაგრამ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მას თავისებური სახე გააჩნდა.

თავდაპირველად, სხვა ხალხთა ანალოგიურად, ისიც რელიგიურ რწმენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მართალია, საამისო ფაქტობრივი მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ყოფით სინამდვილეში ბოლო დრომდე (ზოგან დღესაც მიმართავენ მას) შემორჩენილ ერთ მეტად საინტერესო საქორწილო რიტუალს, საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგება. ამ რიტუალის მიხედვით, ვაჟის მაყრები ქალის ოჯახში მისვლისთანავე ჯერ პატარძლის საწოლს მიცვივდებოდნენ და ზედ წამოწებოდნენ ან გადაგორდებოდნენ, ხოლო შემდეგ თვით პატარძალს შემოეხვეოდნენ და კოცნიდნენ. აღნიშნული რიტუალი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი იყო ხალხური ქორწილისა და საკმაოდ გავრცელებული როგორც საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხთა ყოფაში (მაგ. დაღესტნელებს მისი აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინიც კი გააჩნდათ „ურუშ-ვაჩეშ“, ე. ი. „საწოლის გათელვა“) ([30], 32; [31], 32; [32], 141), ასევე მის ფარგლებს გარეთაც: „Отголоски первобытного группового брака можно усматривать в обычае, по которому молодые люди (друзки, шафера, гости) бросаются на приготовленную постель новобрачных“, — წერს ე. კაგაროვი ([12], 191), ხოლო ნ. სავუშკინა რუსულ საქორწილო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით გადმოგვცემს: „Пережитки группового брака видны в бросании поезжан на постель, в поцелуйной игре“ ([33], 55).

აღნიშნული საქორწილო რიტუალი სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ჯგუფური ქორწინების, კერძოდ იმ ჩვეულების სიმბოლურ გამოხატულებად, რომლის მიხედვითაც „საქმროს მეგობრები და ნათესავები ან მაყრები თვით ქორწილის დროს იყენებდნენ საცოლის მიმართ ძველი დროიდან ტრადიციით გადმოცემულ თავიანთ უფლებას, ამასთან საქმროს მხოლოდ უკანასკნელად უწევდა რიგი“ (18, 68). „После свадьбы присутствующие на ней мужчины овладевали невестой и лишь после этого к ней получал доступ жених“ (17, 307). ეს წესი კი საყოველთაოდ ცნობილი იყო „პირველი ღამის უფლების“ სახელწოდებით.

და თუ ზემოაღნიშნულ რიტუალს ადგილი ჰქონდა საქართველოშიც, მაშინ, ეჭვგარეშეა, მისი წარმომშობი ბაზისის არსებობაც. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ქართველთა უძველესი ტომებისათვის, ვიდრე იგი ქრისტიანობას ეზიარებოდა, უცხო არ იყო პირველყოფილი რელიგიის ის ფორმები, რომლებიც ეგზომ დამახასიათებელია მსოფლიოს ყველა ხალხთათვის, მაშინ ჩვენი ვარაუდი სამართლიანი გვეჩვენება.

ყოველი ახალი ისტორიული ვითარება უკუაგდებდა ან ფორმას უცვლიდა ხალხის მიერ შექმნილ ძველ ტრადიციას. ეს ცვალებადობა კი გაპირობებული იყო ისტორიული აუცილებლობით. ამიტომაც, როცა „პირველი ღამის უფლებას“ თავისი წარმომშობი რწმენა და საფუძველი გამოეცალა, იგი თანდათანობით აღიგავა პირისაგან მიწისა, საქორწილო რიტუალში კი მისი ნაკვალევი ბოლო დრომდე შემორჩა. მის მოსაპობას ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებამაც. და სწორედ იმ ადგილებში, სადაც ეს ჩვეულება მთლიანად დავიწყებამს მიეცა, პატარძლის სიწმინდე საქორწინო მორალის ძირითად მოთხოვნად იქცა.

ყურადღებია, რომ ხშირად ქორწილის დროს ორივე რიტუალი სრულდებოდა, აშკარაა, ამ შემთხვევაში პირველ რიტუალს თავისი ადრინდელი მნიშვნელობა უკვე მთლიანად დაკარგული აქვს და მხოლოდ გასართობ, სანახაობრივ ხასიათს ატარებს, მეორეს კი ღრმა შინაარსი უდევს საფუძვლად. ესეც პირველის უძველესობასა და მეორის სიახლეზე მიგვითითებს. ეს უკანასკნელი გვიანდელი მოვლენაა და ამ დროს, მართლაც, უკვე *jus primae noctis*-ზე, როგორც საქორწილო ჩვეულებაზე, ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ ღუმს მის შესახებ საისტორიო დოკუმენტები.

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდის საქართველოში, განსაკუთრებით ბარში, „პირველი ღამის უფლება“ სიმბოლიკის სახით განაგრძობს არსებობას. არსი სიმბოლიკისა ხალხისათვის უცხო და გაუგებარია.

რაც შეეხება მე-19 საუკუნის სინამდვილეს, ამ შემთხვევაში ძველი ჩანაწერებისა და ახლად მოპოვებული მასალების გაანალიზების შედეგად ერთგვარად ორი საწინააღმდეგო სურათი იშლება ჩვენს თვალწინ. ერთი, როდესაც ხალხი აშკარა წინააღმდეგობას უწევს აღნიშნულ წესს და იბრძვის მისი მოსაპობისათვის და მეორე, როდესაც სრულიად უბრძოლველად ემორჩილება მას; უფრო მეტიც, შესთხოვს კიდევ თავის ბატონს მის სისრულეში მოყვანას. ასევე თხოვნით მიმართავდნენ შინაყმები თავიანთ ბატონებს ვეროპის ქვეყნებში იმ ეპოქაშიც კი, რომელსაც, ბებელის აღნიშვნით, გარკვეული ჯგუფები წინა პლანზე სწევდნენ, როგორც მაღალი ზნეობისა და ღვთისმოსაობის საუკუნეს.

რითი შეიძლება აიხსნას ყოველივე?

ვფიქრობთ, ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულებრივ ფაქტებთან, ძალდატანებასთან და არა ხალხურ ჩვეულებასთან, რადგან ამ პერიოდში სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებული *jus primae noctis* ქართველმა ფეოდალებმა ათ-

ვიანთ სასარგებლოდ გადმოიღეს და „მიისაკუთრეს“. ხალხი კი, რომელსაც ტრადიციულად არ ჰქონდა გადმოცემული იგი წესად და თანაც ამ დროს უკვე საკმაოდ ვათვითცნობიერებული იყო, მას ბატონის აღვირახსნილობად მიიჩნევდა და ამიტომაც იბრძოდა მისი მოსპობისათვის; მეორე შემთხვევაში კი, შესაძლოა, ხალხის ამგვარ მოქმედებას გარკვეული რწმენა ედო საფუძვლად. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ვასული საუკუნის დასასრულს, განსაკუთრებით საქართველოს მთის მოსახლეობა ჯერ კიდევ ფანტიკურად მორწმუნე იყო. სვანები, მეგრელები, ხევსურები თაყვანსა სცემდნენ წინაპრის კულტს, მათ ემინოდათ ალებისა, ჭინკებისა, ავი თვალისა; სჯეროდათ სულის უკვდავება, მისი მოგზაურობა იმ ქვეყნად, რის გამოც ცხენსაც კი ატანდნენ თავიანთ მიცვალებულებს სულეთში მომსახურებისათვის.

„შვილო, დაგიშლის საკვლევო,
შაგრასა შეგიკაზმავ ცხენსაო“, —

დასტიროდა მორწმუნე ხევსური თავის პირმშოს. სვანებს მიცვალებულის გულის მოსაგებად, მათ პატივსაცემად სპეციალური დღეობაც კი ჰქონდათ დაწესებული ([34], 55; [25]. 314), რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ განაწყენების შემთხვევაში სულები ზიანს მოუტანდნენ სამზეოზე დარჩენილთ. თუ არა ამ მსოფლმხედველობის საფუძველზე, სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას მოქმედება ადამიანისა, რომელსაც თვითონ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მიჰყავდა თავისი საცოლვე ბატონთან და თანაც შიშით კრთოდა შესაძლო უარის მოლოდინში; მას ღრმად სწამდა, რომ ბატონის უარის შემთხვევაში ღმერთი განაწყენდებოდა. განაწყენებული ღმერთი კი, მიცვალებულის სულის ანალოგიურად, უბედურებას მოუვლენდა მის ახლად შექმნილ ოჯახს; მორწმუნეს აზრით ხომ ბატონები, ისევე, როგორც მეფე, შამანი თუ ქურუმი, ზებუნებრივი ძალის მქონენი იყვნენ, აღმსრულებელნი ღვთის ნება-სურვილისა ამ ქვეყნად.

ამგვარად, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა რელიგიური რწმენებისა და ეთნოგრაფიული მისალის გაანალიზებისა და ფოლკლორულ ნიმუშებთან შეპირისპირების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ: უძველეს ხანაში საქართველოშიც არ იყო გამორიცხული „პირველი ღამის უფლების“ არსებობა და მისი კავშირი რელიგიურ რწმენებთან.

ყოველი ახალი ისტორიული ვითარება უკუაგდებდა ძველ ფორმას, ცვლიდა ხალხის მიერ შექმნილ ძველ ტრადიციას. ასეთივე ბედი ეწია „პირველი ღამის უფლებასაც“. როდესაც თავისი წარმომშობი ძალა და საფუძველი გამოეცალა, მან ახალი ფუნქციით, კერძოდ სიმბოლიკის სახით, განაგრძო არსებობა საქორწილო ცერემონიალში. საქართველოს მთამ კი (მხედველობაში გვაქვს მთიანი სამეგრელო), სავარაუდოა, მისი კვალი უფრო ადრინდელი ფორმით შემოინახა.

ბატონყმური ინსტიტუტი აღმოჩნდა მყარი ნიადაგი, რათა სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებული ზემოხსენებული წესი ქართველ მებატონეებს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ და ერთგვარად „დაეკანონებინათ“ კიდევ.

რა თქმა უნდა, ქართველი გლეხი თავისი ბუნებით ვერასოდეს შეეგუებოდა ფეოდალთა პრეტენზიას; ამიტომ ყოველგვარ ღონეს ხმარობდა თავისი ადამიანური ღირსების დასაცავად; ასევე შეუბოვრად ებრძოდა იგი „პირველი ღამის უფლების“ ყოვლად დამამცირებელ წესს.

თუ აღნიშნული ჩვეულების შესახებ საკანონმდებლო დოკუმენტები და ისტორიული წყაროები დღემან და არას ამბობენ ან გვერდს უვლიან, ხალხურმა სიტყ-

ვიერებამ მისი არსებობისა თუ მოსპობისათვის ბრძოლის სურათები დღემდე შემოგვინახა სიმბოლიკისა თუ გადმოცემების სახით.

ფოლკლორისტიკის კათედრა

ლიტერატურა

1. ივ. სურგულაძე, შემთხვევებთან დაკავშირებული (ექსტრა-ორდინარული) გადასახადები-გვიანფეოდალურ საქართველოში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1953.
2. М. Ковалевский, Первобытное право, 1880.
3. ა. ბებელი, დედაკაცი და სოციალიზმი, 1912.
4. Ш. Летурно, Социология, основанная на этнографии, изд. О. Н. Поповой, СПб., 1895.
5. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. III, 1950.
6. Геродот, т. I, 1885, (История в девяти книгах).
7. Ю. Семенов, Как возникло человечество, 1960.
8. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953.
9. А. Смирнов, Очерки семейных отношений по обычному праву русского народа, вып. 1—2, М., 1878.
10. П. Шейн, Великорусс в своих песнях, обрядах, обычаях, верованиях, сказаниях легендах и. т. п., т. I, вып. II, СПб., 1900.
11. М. В. Донвар-Запольский, Исследования и статьи, т. I, 1909.
12. Е. Г. Кагаров, Состав и происхождение свадебной обрядности, СМАЭ, VIII, 1929.
13. П. Лафарг, Очерки по истории культуры, 1928.
14. К. Максимов, Об одном свадебном обряде, этнографическое обозрение, кн. XXIX-1908, № 4.
15. გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნირკვევები, 1971.
16. Д. Мордовцев, Политическое движение русского народа, т. I, 1871.
17. ივ. გომართელი, ნაწყვეტები წარსულიდან, ცისკარი, 1907.
18. აკ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV.
19. ზ. ჭიჭინაძე, საქ. ბატონყმობის ფაქტიური მასალები, 6 ტომად, 1924—1925 წლები, ტ. I, II, III.
20. ფ. მახარაძე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, ქუთაისი, 1904.
21. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ნახული და გაგონილი, 1936.
22. გ. ნადარეიშვილი, არსებობდა თუ არა ფეოდალურ საქართველოში „პირველი ღამის“ უფლება?, საბჭოთა სამართალი, № 3, 1958.
23. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ხალხური პოეზია, 1961.
24. ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1930.
25. ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ. III, 1924.
26. ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ. I, 1924.
27. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი №№ 1305; 16617; 16623; 171009, № 17, 128, ასევე საკუთარი ჩანაწერები.
28. Ш. Инал-Ипа, Очерки по истории брака и семьи у абхазцев, 1954.
29. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია; წიგნი I, 1928.
30. Амиров, Среди горцев Сев. Дагестана „Сб. св. о кавказских горцах“. VII.
31. Львов, Домашняя и семейная жизнь дагестанских горцев аварского племени „Сб. св. о кавказских горцах“, III.
32. Г. Ф. Чурсин. Очерки по этнологии Кавказа. 1913.
33. Н. И. Савушкина, Обрядовая поэзия. „Русское народное поэтическое творчество“, под редакцией Н. И. Кравцова, 1971.
34. ვ. ბარდაველიძე, ქართულ (სვანურ) დღეობათა კალენდარი, ენიშკის მოამბე, ტ. X, 1940.
35. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიშკის მოამბე ტ. X, 1941.

С. ЧОХЕЛИ

 СЛЕДЫ *JUS PRIMAE NOCTIS* В ГРУЗИНСКОМ ПОЭТИЧЕСКОМ
 ФОЛЬКЛОРЕ

Резюме

Как известно из существующей литературы, т. н. право „первой ночи“ является пережитком ранее существовавшего обычая группового брака.

Ряд исследователей за неимением соответствующих исторических и юридических данных отрицает наличие права „первой ночи“ в прошлом Грузии, ограничивая его существование в грузинской действительности XIX веком.

Сопоставляя религиозные представления и этнографический быт Грузии с таковыми различных народов мира, автор делает вывод, что в древней Грузии не исключена возможность существования этого обычая, связанного с определенными религиозными ритуалами.

После того, как указанный обычай потерял свое первоначальное значение, он продолжал символически существовать в грузинском свадебном обряде. Предполагается, что в некоторых горных районах Грузии (имеется в виду горная Мегрелия) этот обычай сохранился в более древней форме.

Исчезновению права „первой ночи“ в некоторой степени способствовало распространение христианства.

Однако в эпоху феодализма право „первой ночи“ стало непосредственной привилегией феодала. Институт крепостничества явился превосходной почвой для того, чтобы грузинский феодал как бы „узаконил“ и использовал в своих же интересах еще существовавший в других странах древний обычай.

Если в письменных законодательных документах нет упоминаний об этом, унижительном для народа, обычае, то в фольклорном материале следы его сохранены до сегодняшнего дня.

S. CHOKHELI

 TRACES OF *JUS PRIMAE NOCTIS* IN GEORGIAN POETIC FOLKLORE

Summary

The so-called *jus primae noctis* is known to be a survival of the primitive custom of group marriage

Owing to the lack of relevant historical or legal evidence a number of researchers deny the existence of *jus primae noctis* in Georgia's early history, restricting its occurrence to the 19th century.

By comparing the religious beliefs and ethnographic evidence on Georgia with those of other peoples of the world the author arrives at the conclusion that the existence of the custom in question in ancient Georgia and its relation to certain religious rituals cannot be ruled out.

After the custom had lost its original meaning it continued symbolically in Georgian marriage ritual. The custom is presumed to have been retained in a more archaic form in some mountainous areas (namely in mountain Megrelia).

The spread of Christianity contributed to some extent to the disappearance of the right. However, in the period of feudalism the right became the privilege of the feudal lord. Serfdom in Georgia provided an excellent breeding-ground for the early custom, and the feudal lords "legalized" it, as it were, in their own interests.

Whereas written legal documents make no reference to this practice humiliating for the people, its traces are to be still found in the folklore material.



ლევო ქიაჩელის პროზა რუმინულ ენაზე

(დაბადების 90 წლისთავის გამო)

ვალერიან მახარაძე

XX საუკუნის დიდი ქართველი პროზაიკოსის ლევო ქიაჩელის თხზულებანი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის რუმინულ ენაზეც.

აღსანიშნავია, რომ ქართველი საბჭოთა მწერლების თხზულებებიდან რუმინულ ენაზე ყველაზე ადრე ლევო ქიაჩელის თხზულებები ითარგმნა.

1949 წელს ბუქურეშტში „ახალგაზრდობის გამომცემლობამ“ სერიით „ლიტერატურის მცირე ბიბლიოთეკა“ ცალკე წიგნად გამოსცა ლევო ქიაჩელის პატარა მოთხრობა „მამა და შვილი“ ([1]), რომელიც ფაქტიურად იყო რუმინულად თარგმნილი პირველი ქართული პროზაული ნაწარმოები*. ამ პატარა, მინიატურულ წიგნაკს, მთარგმნელის გვარი, სამწუხაროდ, მიწერილი არა აქვს, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, მთარგმნელი ნ. ჩერნა უნდა იყოს, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

სამწუხაროდ, ვერც თარგმანის ავტორიანობაზე ვიტყვი ვერაფერს, რადგან რუმინეთში ყოფნისას დედანი ხელთ არ გვქონდა რომ შეგვედარებინა, ხოლო რუმინული თარგმანი ჩვენში არ არის.

* * *

1952 წელს გამომცემლობამ „კარტია რუსე“ („რუსული წიგნი“) დაბეჭდა ლევო ქიაჩელის ცნობილი რომანი „გვადი ბიგვა“, რომლის თარგმანი რუსულიდან, როგორც ეს ტიტულზეცაა აღნიშნული, შეუსრულებიათ მიჰაილ შერბანს და ნ. ჩერნას ([2]).

წიგნს, ტიტულის მეორე მხარეს, საგანგებოდ აქვს მიწერილი, რომ იგი „თარგმნილია რუსულ ენაზე არსებული ორიგინალიდან“ და იქვეა დასახელებული ეს ორიგინალიც—„გვადი ბიგვას“ 1949 წლის რუსული გამოცემა**.

რომანს წამძღვარებული აქვს შესავალი წერილი სათაურით „ლევო ქიაჩელი“, რომელიც რუმინულ მკითხველს მწერლის ბიოგრაფიას აცნობს. როგორც შენიშვნიდან ჩანს, შესავალი წერილიც აღებულია სხენებული რუსული გამოცემიდან ([2], 5).

შედარებამ ცხადყო, რომ რუმინული გამოცემის შესავალი წერილი მართლაც სიტყვასიტყვით იმეორებს რუსული გამოცემის შესავალ წერილს ([2], 5—8; [3], 3—5), ამიტომ შესავალ წერილზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ჩვენი მკითხველისა და სპეციალისტებისათვის ისედაც გასაგები იქნება თუ

* ამაზე ადრე, 1947 წელს, დაიბეჭდა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო ვერა რომანის მიერ.

** „Traducere după originalul în limba rusă: Лео Киачели, Гвади Бигва, Гослитиздат, Москва, 1949.“



„შეანგედრებდნენ“ წინადადება გაუწყვეტიათ და მრავალი წერტილი დაუსვამთ. დედანში ნათქვამია: „—აი, ბაბაია სტირის, შენ რომ გვცემე! ახლა?—ჭარხალივით გაწითლდა და ძმას მამხილებელი თვალი შეაშტერა“ ([4], 263). რუსულში „მამხილებელი თვალის შეშტერება“ ქცეულია „მრისხანე შეტევად“: „—Китунія грозно, с красным, как бурак, лицом наступил на старшего брата“ ([3], 83). რუმინულში ზუსტადაა გადატანილი რუსულისათვის დამახასიათებელი ნიუანსი: „Vezi!—și, cu fața roșie ca sfecla, Chitunія înainta amenințător spre fratele său mai mare ([2], 99).

ანალოგიური მაგალითები სხვაც შეიძლება მოგვეტანა ([2], 121, 130), მაგრამ ეს ზედმეტად მიგვაჩნია.

რუმინელ მთარგმნელებს კარგი საქმე გაუკეთებიათ, რომ ზოგიერთი საზოგადო თუ საკუთარი ქართული სახელი, რომლებიც რუსულ თარგმანში არ იყო განმარტებული (შეიძლება ისინი საშუალო რუსი მკითხველისათვისაც გაუგებარი იყოს), შენიშვნებში შეუტანიათ და სწორი რუმინული განმარტებაც თითონვე მიუციათ. მაგრამ, ამასთან ერთად, შენიშვნებში ზოგიერთი განმარტება მოკლებულია სიზუსტესა და სათანადო სისრულეს. ასე მაგალითად, ჩურჩხელა განმარტებულია, როგორც „ტბილელული“—„dulciuri“ ([2], 64), რაც სათანადო წარმოდგენას ვერ შეუქმნის რუმინელ მკითხველს მსზე. ჯეირანი განმარტებულია, როგორც „თხის მსგავსი სტეპის ცხოველი“—„animal de stepă asemănător cu câpriora“ ([2], 176). ჯეირანის თხასთან მსგავსებაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ საქართველოში რომ სტეპები არ გვაქვს, ეს სადაო არ უნდა იყოს.

ზოგიერთი განმარტება მექანიკურადაა გადატანილი რუსულიდან, არაა მონახული მათი რუმინული შესატყვისი. ასე მაგალითად, ქალამანი, განმარტებულია, როგორც უქუსლო და დაუმუშავებული ტყავისაგან დამზადებული გლეხის ფეხსაცმელი—„ihcãltãminte țărănească făcută din piele netăbăcită, fără tocuri“ ([2], 9), როგორც ეს რუსულ თარგმანშია—„крестьянская обувь без каблуков, из цельной невыделанной кожи“ ([3], 7), მაშინ როცა არსებობს ქალამნის ზუსტი რუმინული შესატყვისი—„ოპინჩი“ (მხ. რ.). ღომი—განმარტებულია, როგორც ფეტვის სქელი ფაფა—„un pãsat gros din mei“ ([2], 114), როგორც ეს რუსულ თარგმანშია: „Густая просяная каша“ ([3], 107), მაშინ როცა არსებობს ღომის ზუსტი რუმინული შესატყვისი—„მამალიგა“.

ზოგიერთი ქართული სახელის გადატანისას, რაკი რუსულში იგი მოცემული იყო მოქმედებითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში, რუმინულშიც იგივე რუსული ბრუნვის ნიშანი დაუტოვებიათ. მაგ. რუსულშია: „Тарелки, наполненные фруктами и чурчхелами“ ([3], 59) რუმინულში გადაუტანიათ... „farfurii pline cu fructe și cu ciurcihelami“ ([2], 64). უნდა იყოს: „...си ciurcihela“, კიდევ მეტი, ჩურჩხელის განმარტებისას სქოლიოში იგი მოცემული არის არა სახელობითი ბრუნვის მხოლოდობით რიცხვში, არამედ მოქმედებითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის რუსული დაბოლოებით—„--ami (-„ами,“) ([2], 64). ნაცვლად იმისა, რომ დაეწერათ „ciurcihela“. დაუწერიათ „ciurcihelami“.

ჩვენი შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ „გვაღი ბიგვას“ რუმინული თარგმანის ღირსებას. საერთოდ თარგმანი, როგორც ზემოთ ითქვა, მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული, რაც განპირობებულია მთარგმნელების ოსტატობით, ხოლო ქართული რომანის რუმინულად თარგმნა ქართულ-რუმინული ლიტერატურული ურთიერთობის საყურადღებო და მნიშვნელოვანი ფაქტია.

ბუნებრივად ისმება კითხვა: რით მიიქცია ლეო ქიაჩელის რომანმა რუმინელი მთარგმნელის ყურადღება?

რა თქმა უნდა, არ ვიქნებოდით მართალი, რომ ეს მხოლოდ ქართული რომანის მხატვრული ღირსებით, ან რუმინელი მკითხველისათვის 30-იანი წლების ქართული სოფლის ცხოვრების გაცნობის სურვილით აგვეხსნა.

მთარგმნელი, თუ იგი ნამდვილი მოაზროვნე შემოქმედია და არა გამორჩენით დაინტერესებული ხელოსანი, ყოველთვის თარგმნის იმას, რაც მის სულთანაა ახლოს, რაც მის განწყობილებასა და მისი ხალხის ცხოვრების სინამდვილესთან ავლენს გარკვეულ კავშირს. ამდენად მთარგმნელის მიზანია თავისი თარგმანით ცხოვრების სარკეში ჩაახედოს საკუთარი ხალხი და გარკვეული სარგებლობა მოუტანოს თავის ერს ნაკლოვანებათა მხილებად დაძლევისა, თუ ახლის ძიების გზაზე. ამასთანავე, გამოცდილება შესძინოს საკუთარ ეროვნულ მწერლობას უცხოური ლიტერატურის გამოცდილებით, ბიძგი მისცეს მის შემდგომ განვითარებას.

როგორც ცნობილია, 50-იანი წლების დასაწყისში რუმინეთის სოფელში იგივე პროცესები მიმდინარეობდა, რაც 30-იანი წლების ქართულ სოფელში, რუმინეთის სოფლის სოციალისტური გარდაქმნა ახლად დაწყებული იყო, ხოლო რუმინული მწერლობაც სოციალისტური რეალიზაციის გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა. ამდენად, რუმინელ მკითხველსაც და რუმინელ მწერლობასაც, ლეო ქიაჩელის კლასიკურ რომანში ბევრი ისეთი რამის პოვნა შეეძლო, რაც მაშინ რუმინეთს აწუხებდა.

მართალია, ამ დროს უკვე არსებობდა მ. სადოვიანუს საქვეყნოდ განთქმული „მიტრია კოკორი“, პირველი მერცხალი ამ მიმართულებით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მიტრია საბჭოთა კავშირიდან იდეურად ერთგვარად მომზადებული დაბრუნდა სამშობლოში და ახალი ცხოვრების ფერხულში უმაღლვე გაბედულად ჩაება. ლეო ქიაჩელის გვაჯის ფსიქოლოგიური გარდაქმნა თვით ქართულ სოფელში მიმდინარე სოციალური ძვრების პროცესშივე ხდებოდა. ამდენად სადოვიანუს მიტრიასა და ქიაჩელის გვაჯის წრთობა სხვადასხვა პირობებში მიმდინარეობდა, რუმინეთს მაშინ „საკუთარი გვადი“ სჭირდებოდა.

ძალაუფებურად მაგონდება რუმინელი ყურნალისტის ჩანაწერები 1950 წლის ინვარში გიორგი ლეონიძესთან საუბრის შესახებ, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქართულ მწერლობასთან კავშირს შეუძლია სარგებლობა მოგვიტანოსო, მისი მდიდარი გამოცდილებით უნდა ვისარგელოთ ([5], 34—35, 42—43; [6], 67).

ლეო ქიაჩელის ამ კლასიკურ ნაწარმოების იდეური და მხატვრული ზემოქმედების ძალა დიდი უნდა ყოფილიყო არა მარტო რუმინულ მკითხველზე, არამედ რუმინელ მწერლობაზეც. რუმინელ მთარგმნელებს, თუმცა ისინი ამის თაობაზე არაფერს წერენ, საკუთარი მწერლობის სიახლისაკენ მობრუნება აინტერესებდათ, როცა ისინი „გვადი ბიგვას“ თარგმანს ჰკიდებდნენ ხელს.

ასე წარმოგვიდგება ქართული ლიტერატურის ძეგლით დაინტერესება.

* * *

რამდენიმე სიტყვა მთარგმნელების შესახებ.

1969 წლის მაისის ბოლოს, რუმინეთის მწერალთა კავშირის საშუალებით დაფუკავშირდი „გვადი ბიგვას“ ერთ-ერთ მთარგმნელს, ცნობილ რუმინელ მწერალს მიჰაი შერბანს.

მიჰაი შერბანი დაიბადა 1911 წელს სოფ. ფელტჩინში. იგი განათლებით იურისტი, დამთავრებული აქვს იაშის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი,

მაგრამ მეოთხე ათეული წელია ლიტერატურულ მოღვაწეობითაა დაკავებული. მისი რომანები, მოთხრობები და წერილები სამ ათეულ წელზე მეტია იბეჭდება ცალკე წიგნებად. მ. შერბანის ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც*.

1969 წლის 28 მაისს პირველად შეხვედრი მიპაი შერბანს მის ბინაზე ქ. ბუქურეშტში. მ. შერბანი სიმპატიური გარეგნობის დინჯი კაცია. საუბრისას გამოირკვა, რომ მ. შერბანმა რუსული ენა არ იცოდა. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ „გვადი ბიგვას“ თარგმნის პროცესში მთავარი როლი ნ. ჩერნას უნდა შეესრულებინა. ხოლო რაც შეეხება მ. შერბანს, თუმცა მისი გვარი პირველ მთარგმნელადაა მიწერილი, იგი ჩერნას მიერ რუსულიდან შესრულებული თარგმანის ლიტერატურულად გამმართავი უნდა ყოფილიყო.

მ. შერბანი ლევ ჭიაჩელს არ იცნობდა. იგი თარგმანზე ჩემი აზრით დანტერესდა, ხოლო შემდეგ შემომთავაზა—თუ დრო გექნებათ და რედაქტორობას იკისრებთ „გვადი ბიგვას“ ხელმოკრედ გამოცემო, მაგრამ მე სამისო დრო არ მქონდა (ბუქურეშტიდან რამდენიმე დღეში გავდიოდი იაშსა და კლუჟში სამუშაოდ) და თანხმობა ვერ მივეცი.

ბუნებრივია, ნ. ჩერნასთან შეხვედრა მინტერესებდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. რუმინეთის მწერალთა კავშირმა და არლუს-მა ნ. ჩერნას მისამართი ვერ დამიღვინეს, ხოლო მ. შერბანმა მხოლოდ ის იცოდა რომ იგი ავადმყოფი კაცი იყო (მგონი ტუბერკულოზით); იქნება გამომცემლობამ იცოდეს რამე მის შესახებ, ისე კი ვიცი, რომ მას ბევრი წიგნი ჰქონდა თარგმნილი.

მ. შერბანის ინფორმაცია საინტერესო იყო იმიტ, რომ შესაძლებელია იმ „ბევრ წიგნში“, რომელიც ნ. ჩერნას უთარგმნია, იქნებ მთარგმნელის ხელმოწერულად დაბეჭდილი ლევ ჭიაჩელის „მამა და შვილიც“ იგულისხმებოდეს.

ამ ამბავმა კიდევ უფრო დიდი სურვილი აღმიძრა ნ. ჩერნას კვალის ძიების მიემართე გამომცემლობა „კარტია რუსეს“ ძველ მუშაკებს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, რუმინეთიდან წამოსვლის წინ, დახმარება ვთხოვე ბუქურეშტის მილიციასაც კი, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრა

ლიტერატურა

1. Leo Chiaceli, Tată și fiu. Editura Tineretului, 1949 [București].
2. Leo Chiaceli, Gvadi Bigva, Traducere din limba rusă de Mihail Șerban și N. Cerna. Editura ARLUS „Cartea Rutsă“. 1952 [București].
3. Лео Киачели, Гвади Бигва, Государственное издательство художественной литературы, Москва, 1949.
4. ლევ ჭიაჩელი, რჩეული, საბჭოთა მწერალი, თბ., 1956.
5. ვ. მაჭარაძე, გიორგი ლეონიძე და რუმინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა, თბ., 1976.
6. В. Мачарадзе, Послы советской поэзии в РНР, см. журн. „Литературная Грузия“, 1974, № 11.

* მ. შერბანის ავტობიოგრაფია, რომელიც მწერალმა ჩვენი თხოვნით დაწერა, ინახება ჩვენთან.

В. МАЧАРАДЗЕ

ПРОЗА ЛЕО КИАЧЕЛИ НА РУМЫНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Произведения известного грузинского писателя XX века Лео Киачели переведены на многие языки мира, в том числе и на румынский язык. В Бухаресте отдельными изданиями вышли его повесть „Отец и сын“ и роман „Гвади Бигва“.

Повесть „Отец и сын“ была опубликована издательством молодежи в 1949 году без подписи переводчика*. Роман „Гвади Бигва“ был издан в 1952 году издательством „Картия Русе“, в переводе известного румынского писателя Михая Шербана и Н. Черна. Румынский перевод „Гвади Бигва“ был осуществлен с русского издания (русский перевод Е. Гогоберидзе) 1949 года.

В работе подробно рассмотрен перевод романа „Гвади Бигва“. Автор работы, высоко оценивая перевод, отмечает и некоторые отступления от грузинского оригинала, что вызвано влиянием русского перевода, ставшим основным источником для румынских переводчиков. В работе отмечается также, что перевод снабжен нужными примечаниями, составленными на должном уровне, хотя некоторые из них требуют уточнения.

Перевод произведений Лео Киачели на румынский язык является значительным фактом румыно-грузинских литературных связей.

V. MATCHARADZÉ

LA PROSE DE LEO KIATHELI EN ROUMAIN

Résumé

Les oeuvres du grand prosateur géorgien du XX^e siècle sont traduites en plusieurs langues du monde. A Bucarest on a publié deux oeuvres de l'écrivain géorgien: le récit „Père et Fils“ et le roman „Gvadi Bigva“.

„Père et Fils“ a été publié par les éditions de la Jeunesse en 1949, sans indiquer le nom du traducteur. Quant au roman „Gvadi Bigva“, il a été publié par les éditions „Kartia Rouse“ dans la traduction du célèbre écrivain roumain Michai Cherban et de N. Tcherne. La traduction fut réalisée d'après la version russe (de E. Gogobéridzé), en 1949. Dans le présent article la traduction roumaine a été considérée d'une manière détaillée. L'auteur de l'article apprécie hautement la traduction et relève quelques écarts du texte roumain par rapport à l'original géorgien, écarts causés par l'influence de la traduction russe. L'auteur remarque, par ailleurs, que la traduction est munie de notes nécessaires, dont quelques unes doivent être précisées.

La traduction des oeuvres de Léo Kiatchéli en roumain est un fait important dans les échanges culturels roumains-géorgiens.

* Возможно, Н. Черна.

ქ რ მ ნ ი ქ ა

პირველ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე

1976 წლის 20—22 მაისს შედგა შრომის წითელი დროშის ორდენისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო კონფერენცია. ლიტერატურათმცოდნეობის სექციაში, რომელსაც პროფ. ე. ხინთიბიძე და დოც. გ. ბუაჩიძე ხელმძღვანელობდნენ, წაკითხული იქნა 44 მოხსენება.

კონფერენციაზე გამოტანილ ნაშრომთა მალაღმა პროფესიულმა დონემ და თემატურმა მრავალფეროვნებამ საინტერესო გახადა სექციის მუშაობა. მოხსენებები ეხებოდა ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის, რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური მწერლობის, საბჭოთა კავშირის ხალხთა და ქართულ-დასავლურ ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის, ესთეტიკისა და თეორიის საკითხებს. კერძოდ, მოისმინეს შემდეგი მოხსენებები: რუსთველი იტალიაში (პროფ. ლ. მენაბდე), „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი კვალი ქართულსა და უცხოურ მწერლობაში (პროფ. ტ. რუხაძე), პლატონური ნაკადი ძველ ქართულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევში (დოც. რ. სირაძე), რუსთველის პოეტიკის შესწავლისათვის (დოც. გ. ფარულავა), რუსთველოლოგიური საკითხები ჟურნალ „დროებაში“ (დოც. ლ. ჭუმბურიძე); ადამიანის არსებობის აზრის საკითხი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში (დოც. ი. ევგენიძე), ალექსანდრე ყაზბეგის პროზის ძირითადი ტენდენციები (დოც. ლ. მინაშვილი), მხატვრული პროზა გ. ერისთავის ჟურნალ „ცისკარში“ (დოც. სალ. ყუბანეიშვილი); იროდიონ ევდოშვილის პოეზია (პროფ. ა. თოფურია), კ. გამსახურდიას შემოქმედება (დოც. რ. მიშველაძე), მორალის პრობლემები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (პროფ. ვ. ცისკარიძე); გერი გოგობის კულტის საკითხი ქართულ მითოლოგიაში (ს. აბაშიძე), ქვის მაგიურობისა და ზებუნებრიობის საკითხი სვანურ ჯადოსნურ ზღაპრებში (დოც. თ. ონიანი), გმირის სულიერი მდგომარეობის გადმოცემა ქართულ ხალხურ პროზაში (დოც. თ. ქურდოვანიძე); პაუსტოვსკი და საქართველო (მასწ. ი. ადეიშვილი), სალტიკოვ-შჩედრინი—კრიტიკოსი (დოც. მ. ბაისოგოლოვა), ა. პუშკინი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში (დოც. ქ. ბურჯანაძე), ლევ ტოლსტოის შესწავლის შესახებ საქართველოში (პროფ. დ. თუხარელი), ლერმონტოვის ქართული რეცეპციის თავისებურების შესახებ (დოც. ლ. ხინთიბიძე); უკრაინული კულტურის პირველი დეკადა საქართველოში (პროფ. თ. ბაქანიძე); რომანტიკულისა და რეალისტურის საკითხისათვის ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში (დოც. რ. ხვედელიძე); სუნდუკიანცი და ქართული დრამატურგია (პროფ. ს. ხუციშვილი), ლ. ქიაჩელის პროზა რუმინულ ენაზე (პროფ. ვ. მაჭარაძე); ჟან ანუის იგავ-არაკების კრებულის იდეურ-მხატვრული ანალიზი (დოც.

ი. ბაჩიაშვილი), ნოვატორობის პრობლემისათვის „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურაში (მასწ. თ. გაბიანი), ცნება „გულის“ მნიშვნელობა რუსთველის ეთიკაში (დოც. გ. გოგოჭური), ბედნიერებისა და სამართლიანობის თემა ალბერ კამიუს პიესაში „გაუფებობა“ (მასწ. გ. ეკიზაშვილი), დავით ბაგრატიონის „ახალი შიხი“ როგორც ყ. ყ. რუსოს „ახალი ელიოზას“ გამოძახილი (უ/მ. ნ. თარიშვილი), რამდენიმე მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ყანრის თაობაზე (პროფ. ნ. კაკაბაძე), სამერთიანობის კანონი რენესანსის დროინდელი ინგლისური დრამის თეორიაში (ასპ. ლ. კერესელიძე), გალაკტიონ ტაბიძის „პოეტური ინტეგრალები“ (პროფ. მ. კვესელავა), ჯერარ დე ნერგალის პროზის თავისებურებანი (დოც. ლ. ლორია), პოლიტიკური კარიერისტის სახე ვ. სარდუს „რაბაგას“ მიხედვით (ასპ. ნ. ლეონიძე), ტროპის ესთეტიკური ბუნების საკითხი (დოც. მ. ნათაძე), აღმოსავლური თემატიკა და საქართველო ჯეიმს მორიერის ნაწარმოებებში (პროფ. ნ. ორლოვსკაია), გერმანული ლიტერატურის ნიმუშების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის (პროფ. შ. რევიშვილი), „ვეფხისტყაოსნის“ მეტრის გადმოცემის საშუალებანი ინგლისურად (დოც. ვ. ურუშაძე), აკაკი წერეთელი და საფრანგეთი (პროფ. დ. ფანჩულიძე), ელექტრას სახე თანამედროვე ფრანგულ დრამატურგიაში (ასპ. ი. დოლობერიძე), რიცხვთა სიმბოლიკა როგორც პ. პესეს რომანის „ზიდჰარტას“ კომპოზიციის საფუძველი (დოც. რ. ყარალაშვილი), ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ ზოგიერთი თავისებურება (დოც. ნ. ყიასაშვილი), პ. ფონ კლაისტის „გატეხილი დოქის“ პრობლემატიკისათვის (მასწ. გ. ჩავლეიშვილი), გონისა და ქმედობის პრობლემა ლიონ ფეიხტენგერის დრამატურგიაში (უ/მ. რ. ციხითათრიშვილი).

შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ფილინა, ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ“? როგორც სოციალურ-ფილოსოფიური უტოპიური რომანის განვითარების ეტაპი (რეზიუმე)	15
ჯ. სეფაშვილი, ნ. ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ“? ქართულ ენაზე (რეზიუმე)	28
ლ. ხიხაძე, ლიტერატურულ მოვლენადაა აღქმის ცვალებადობის შესახებ (საქართველოში ლერმონტოვის მემკვიდრეობის მაგალითზე) (რეზიუმე)	37
გ. გვერდუაძე, შაქრო პტაძის სახის პროტოტიპის საკითხისათვის გორკის მოთხრობიდან „ჩემი თანამგზავრი“ (რეზიუმე)	53
მ. ქრისტესაშვილი, ქართული თემა ნ. ტიხონოვის შემოქმედებაში (40—60-იანი წლები) (რეზიუმე)	63
თ. ებანოიძე, „გატეხილი ყამირის“ „წყნარ ღონთან“ კავშირის საკითხისათვის	65
რ. ხვედელიძე, რომანტიკულისა და რეალისტურის საკითხისათვის ტ. შვეჩენკოს პოეზიაში	71
ბ. კილანავა, „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ატრიბუტიისათვის, I	81
თ. ქურდოვანიძე, ეთნიკურისა და ინტერეთნიკურის საკითხისათვის ქართულ ჯაღოსნურ ზღაპარში (AT 707 ტიპის მაგალითზე)	105
ს. ჩოხელი, Jus primae noctis-ის კვალი ქართულ პოეტურ ფოლკლორში	117
ვ. მაჭარაძე, ლეო ქიჩელის პროზა რუმინულ ენაზე (დაბადების 90 წლისთავის გამო)	119

ქ რ ო ნ ი კ ა

პირველ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე	125
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

М. А. Филина, „Что делать?“ Н. Г. Чернышевского как этап в развитии социально-философского утопического романа	54
Д. П. Севашвили, О переводе романа Н. Г. Чернышевского „Что делать?“ на грузинский язык	17
Л. Хихадзе, К вопросу об изменчивости восприятия литературных явлений (на материале восприятия наследия Лермонтова в Грузии)	29
Г. Гвенетадзе, К вопросу прототипа образа Шакро Птадзе из рассказа М. Горького „Мой спутник“	39
М. Г. Христесашвили, Грузинская тема в произведениях Н. С. Тихонова 40—60-х годов	55
Т. Эбаноидзе, К вопросу о связи „Поднятой целины“ с „Тихим Доном“ (Резюме)	69
Р. С. Хведелидзе. К вопросу о романтическом и реалистическом в поэзии Т. Шевченко (Резюме)	79
Б. И. Киланава, К атрибуции „Жития Иллариона Грузина“ (Резюме)	93
Т. Д. Курдованидзе, К вопросу об этническом и интерэтническом в грузинской волшебной сказке (на примере типа АТ 707) (Резюме)	95
С. Г. Чохели, Следы Jus primaе postis в грузинском поэтическом фольклоре (Резюме)	117
В. Г. Мачарадзе, Проза Лео Киачели на румынском языке (Резюме)	12

Хроника

На первой университетской конференции	125
---	-----

CONTENTS

M. Filina, N. G. Cheryshevsky's "What is to be done?" as a stage in the development of social and philosophic utopian novel (Summary)	16
J. Sepashvili, The Georgian translation of Chernyshevsky's novel "What is to be done?" (Summary)	28
L. Chichadse, Zur Frage der Veränderlichkeit von Aufnahme der Literaturerscheinungen (Am Beispiel der Rezeption des literarischen Nachlasses von M. Lermontow in Georgien)	37
G. Gvenetadze, Concerning the prototype of Shakro Ptadze in M. Gorky's story "My Fellow Traveller" (Summary)	54
M. Kristesashvili, Georgian theme in N. Tikhonov's works (The 1940s and 60s) (Summary)	64
T. Ebanoidzé, Concerning the relation of "Soil Upturned" and "And Quiet Flows the Don" (Summary)	70
R. Khvedelidze, Concerning the romantic and realistic in T. Shevchenko's Poetry (Summary)	79
B. Kilanava, Zur Attribution „Des Lebens von Ilarion des Georgiers“	93
T. Kurdovanidze, On the ethnic and interethnic in the Georgian fairy-tale (Summary)	105
S. Chokheli, Traces of jus primae noctis in Georgian poetic folklore (Summary)	117
V. Matcharadzé, La prose de Léo Kiatchéli en roumain (Résumé)	124

Literary chronicle

On the First Conference of University	125
---	-----

გამომცემლობის რედაქტორები: მ. ჯანელიძე
ბ. მიქაძე

ტექნიკური ი. ხუციშვილი
კორექტორები დ. მანჯგალაძე, ე. სულხანიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/IV-77
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XII-77
ქაღალდის ფორმატი 70×108¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 11,55
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,29

შეკვეთა 876 უე 13514 ტირაჟი 400

ფასი 1 მან. 03 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

86-77

77-923

